# საბჭოთა ხელოვნება

СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО

SOVIET ART

SOWJETKUNST

ART SOVIETIQUE

7

1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მისაბიშვილი

# ბეწვის ხიდი

## პიესა 3 მოქმედებად და 6 სურათად



საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მოღვაწე ვლადიმერ მისაბიშვილი ცხოვრობს ქ. სოხუმში და მუშაობს გაზეთ ,,საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის მოადგილედ.

ჟურნალებსა და ალმანახებში სისტემატურად იბეჭდება ვ. მისაბიშვილის იგავ-არაკები, მოთხრობები. გამომცემლობა ,,ალაშარამ“ გამოსცა მისი მოთხრობების კრებული.

ვ. მისაბიშვილი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. მისი მოთხრობების მეტი ნაწილი სწორედ ომის თემას ეძღვნება. მკითხველებს ვთავაზობთ ვ. მისაბიშვილის პიესას ,,ბეწვის ხიდი“.

**მოქმედნი:**

**არჩილ მხეიძე** — 25-26 წლის.
**ლარისა გალკინა** — არჩილის მეუღლე და თანამებრძოლი.
**ნატაშა გალკინა** — ლარისას უმცროსი და.
**ანდრეი გალკინი** — ლარისასა და ნატაშას ძმა.
**იაკობ გალკინი** — მათი მამა, ცნობილი ქირურგი.
**ლეონიდ შიშკოვი** — პარტიზანული რაზმის მეთაური.
**შამბერი** — პოლკოვნიკი, დივიზიის მეთაური.
**მირბერი** — შამბერის ადიუტანტი.
**ჰერბერტი** — გენერალ-ლეიტენანტი, არმიის მეთაური.
**პაულ ჰერბერტი** — მისი ვაჟი, კრეისერის მეთაური, კაპიტანი.
**კრეიცერი** —, **გეიდეკი** — } გესტაპოს მზვერავები.
**გიუნტერი** — გერმანული ნაწილის შტაბის უფროსი.

მოქმედება მიმდინარეობს ფაშისტთა მიერ ოკუპირებულ საბჭოურ ტერიტორიაზე.

### მოქმედება I

### ს უ რ ა თ ი I

შ ა მ ბ ე რ ი. (*ათვალიერებს ფოსტას*). მაშასადამე, დღის წესრიგშია სტალინგრადის აღება. ჩვენებს ამიერიდან ვერაფერი ვერ დააკავებს! (*დგება, მიდის კედლის რუკასთან*). აი, ვოლგა — რუსეთის დედამდინარე! კავკასია მოწყვეტილია ცენტრს. თურქეთი მეტს არ დააყოვნებს, დღეს-ხვალ გადალახავს საზღვარს, რომ დაეუფლოს ამიერკავკასიას.

შემოდის ლეიტენანტი მირბერი, ერთმანეთს მიესალმებიან.

მირბერი. ბატონო პოლკოვნიკო!..
შამბერი. მირბერ, როგორ გგონია, სტალინგრადის დაცემის შემდეგ საით წარიმართება ჩვენი ძლევამოსილი შეტევა?
მირბერი. ვერ გეტყვით!
შამბერი. თავგამხმარო, ტვინი გაანძრიე.
მირბერი. მე მგონია, წინ ვივლით, ვოლგის გაღმა გავაგრძელებთ იერიშს.
შამბერი. ჩერჩეტო, შენგან სარდალი არ გამოვა. მდინარის გაღმა სტეპებია. რა ჭირად გვინდა?! უბადრუკო, მოსკოვის დაცემით უნდა დამთავრდეს ომი. სტალინგრადის შემდეგ დედაქალაქის შემუსვრაა საჭირო. გაიგე?
მირბერი. ვერაფერი გავიგე. გამარჯვებისათვის თუ მოსკოვის აღებაა აუცილებელი, სტალინგრადის კედლებს რად ვახლით თავს? ზედმეტი სისხლი გერმანიას არასოდეს ჰქონია!
შამბერი. რაო? რეგვენო, შენ რა, ფიურერის გენიალურ ნააზრევს იწუნებ? ამას დამიხედეთ, ეს ლაწირაკი გენერალიტეტის სტრატეგიას ეწინააღმდეგება. „ნათელო თავო“, გესტაპოსაკენ გზას მიგასწავლი. იქ აგიხსნიან. *(შამბერი თვალებს აბრიალებს, მირბერი გაშეშებულია, ხმას ვერ იღებს)* იმიტომ ხომ არ მოხვედი, რომ ნერვები ამიშალო... სთქვი, რა გინდა.
მირბერი. ბატონო პოლკოვნიკო! დამთავრდა იარაღისა და საჭურვლის გადმოტვირთვა: რუსმა მონებმა...
შამბერი. *(უსწორებს)* ტყვეებმა.
მირბერი. ჰო, მათ დღეს მონებს ვეძახი, რადგან მონური მორჩილებით იშრომეს. თითქოსდა თავისიანების იყოს ეს საჭურველი, კმაყოფილებით აავსეს ჩვენი საწყობები. ტყვეები ასე გატაცებით როდი მუშაობენ, მით უმეტეს დაუმორჩილებელი ტყვეები.
შამბერი. კმაყოფილებით მუშაობდნენო! ეს დაკვირვება ცუდის მაუწყებელი არ იქნეს?.. *(გაისმის ბომბების აფეთქების ხმა, კედლები ზანზარებს)* რა ამბავია? სულ ახლოს დაეცა. *(ფანჯარას აღებს, ყურს უგდებს)*. ჩვენი თვითმფრინავია!
(შემორბიან შტაბის ოფიცრები, შემდეგ სოფლის მამასახლისი არჩილ მხეიძე).
I ოფიცერი. ჩვენიანებმა დაგვბომბეს შეცდომით.
II ოფიცერი. არა ხარ მართალი. მე ვნახე, როგორ აიჭრა ცაში ორი ფერადი შუშხუნა.
შამბერი. რაო? ყალბი ნიშანი მისცეს?
I ოფიცერი. ბომბები საწყობის ახლოს დაეცა. მადლობა უფალს, თორემ...
შამბერი. რას გაშეშებულხართ! გასწით, ოცეული გაგზავნეთ, შუშხუნების გამშვებნი შეიპყარით. ვინმე რუსი იქნებოდა. *(ყველანი გარბიან. მხეიძეს შამბერი თავისთან უხმობს)* მამასახლისო, ეს რასა ჰგავს? წესრიგი სადღაა?
მხეიძე. ბატონო პოლკოვნიკო, ტყვეებმა და სოფლის მკვიდრებმა ეს სამი დღე-ღამე კარგად იშრომეს ჩემის ჩაგონებითა და თქვენი შიშით. მოგახსენებდნენ, რომ საწყობებში გადმოტვირთეს ოცი ეშელონი საჭურველი *(ახლოს მიდის, გვერდში დგება, ათვალიერებს)*.
შამბერი. ეს კარგია, გავიგე, მაგრამ შუშხუნები რას ნიშნავს? მეეჭვება ბევრი რამ.
მხეიძე. ჩემი ერთგულებაც?
შამბერი. რა თქმა უნდა. *(სეიფს აღებს, გამოაქვს პარტბილეთი)* აი შენი პარტბილეთი. დღეს მომიტანეს რუსებმა. ჭაობში გადაგიგდია. შენზე თქვეს ქარს დააქვსო, არაფერი დაეჯერებაო. პარტბილეთზე უარი თქვი — მაშასადამე, ზურგი შეაქციე პარტიას, სამშობლოს. მათი მოღალატე ხარ.
მხეიძე. და თქვენი მოკავშირე.
შამბერი. მიამიტი ნუ გგონივარ. სხვა საბუთებიც გამაჩნია. როცა ციხიდან გაგათავისუფლეთ, სასამართლოდან საქმეებიც გამოვითხოვე *(გამოაქვს სეიფიდან)*. საცოლემ თავის დროზე გაგცა თურმე, როგორც ქურდბაცაცა, ლოთი, უზნეო, საიდანღაც გადმოხვეწილი.
მხეიძე. აკი გითხარით გაიძვერას, ჭკუაშემღერებულს, გარეწარს შეძახდნენ. პარტიაში იმიტომ შევედი, რომ ბედი მომეწყო, სამომხმარებლო კოოპერაციაში იმიტომ მოვეწყე, რომ უზრუნველად მეცხოვრა, ქურდობას იმიტომ მოვკიდე ხელი, რომ ფული მქონოდა. სულ ოცი წლის ვიყავი, როცა იქ — საქართველოში, პირველად მიმაბრძანეს ციხეში. გაქცევა მოვახერხე. ოდესაში ამოვყავი თავი. ამ ქალს შევუყვარდი.
შამბერი. ნუ სტყუი. ოდესაში სწავლობდი.
მხეიძე. ჰო, ინსტიტუტში, უცხო ენების ფაკულტეტზე გერმანულ ენას ვეუფლებოდი. სიზარმაცე მომეკიდა, გული ამიცრუვდა სწავლაზე. საცოლემ ამ სოფელში მშობლებთან ჩამომიყვანა. კვლავ ვაჭრობას მოვკიდე ხელი, კარგად გავიმართე წელში, ფულმა ქალები გამაჩენინა, როსკიპებმა გახრწნილების წუმპეში ჩამითრიეს.
შამბერი. ციხეში სულს ამოგაძრობდნენ, შე ჭკუაშემღერებულო.
მხეიძე. ვლოცავ გერმანულ იარაღს, მან მიხსნა, მიმსახურეთ, თქვენი ერთგული ყმა.
შამბერი. ცარიელ სიტყვებს გამოუცდელი კაცი ენდობა. მამასახლისად იმიტომ დაგნიშნეთ, რომ უკეთესი კანდიდატურა ჯერჯერობით ვერ აღმოვაჩინეთ.
მხეიძე. ორი თვეა გემსახურებით, ბატონო პოლკოვნიკო. ეს მოკლე დროა, მაგრამ ბევრი რამ გავაკეთე თქვენდა საკეთილდღეოდ.
შამბერი. გადაჭარბებულად ნუ იქებ თავს.
მხეიძე — პარტიზანების ბუნაგს ვისი წყალობით მიაგენით? ეს ჩემი სახლიც ბაღითურთ უსასყიდლოდ დაგითმეთ.
შამბერი. ნაწილობრივ მართალი ხარ. ბუნაგი კი აღმოვაჩინეთ, მაგრამ, თითქოს ვიღაცამ გასთქვა ჩვენი ოპერაცია, ერთი პარტიზანიც კი ვერ შევიპყარით.
მხეიძე. მთავარია, არ გვაწუხებენ, თავს არ გვესხმიან. მგელს ბუნაგს რომ მოუსპობ, გადაიხვეწება, შორეულ ტყეს აფარებს თავს.
შამბერი. ეს ფანდი რომ იყოს.
მხეიძე. ყველა ეჭვიანი კაცი გონიერია.
შამბერი. გერმანელს პირფერობა არ სჭირდება. მაღალი რასა თვით მეტყველებს თავის თავზე.
მხეიძე. ენაჭარტალა როდი ვარ; ყველაფერს კი არ ვამბობ, რაც აზრად მომივა.
შამბერი. სხვა გზა არა გაქვს, არ მიერთგულო. ახალი ბრალდება მოვიდა შენზე. *(კარადიდან ქაღალდები გამოაქვს)* იმ შენი საცოლის მამა და და-ძმა გიჩივიან, შეაცდინაო ლარისა, სახელი გაუტეხაო.
მხეიძე. სტყუიან, ცილს მწამებენ, რათა შეგაძულონ ჩემი თავი. მმაჩში ხელი არ მოგვიწერია. ულამაზესი კი არის, მაგრამ ცთუნებას არ ავყოლივარ... მთელი სოფელი გადამემტერა, რა მეშველება.
შამბერი. ჯვარს გაცმევ, თუ რამეში სტყუი.

შემოდის არმიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი ჰერბერტი. იგი აფორიაქებულია. შამბერი ფერწასული კედელს აეკვრება.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. რა მომხდარა, პოლკოვნიკო! ჩემი არმიის საჭურველი ჩვენს მფრინავს ამოუღია მიზანში!

შ ა მ ბ ე რ ი. ბატონო, არმიის გენერალო... *(ლუღლუღებს).*

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. ხმა ჩაიკმინდე! მამასახლისი ახლავე შეიპყარი, ყალბი შუშხუნების გამშვები დახვრიტე.

*მოისმის ხმაური, ქუჩაში ალიაქოთია, გერმანელი ჯარისკაცები ვიღაცას აგინებენ, სცემენ, ისმის განწირულის ყვირილი, კარები იღება და ქერათმიანი რუსი წიხლის კვრით შემოაგდეს ოთახში.*

მ ი რ ბ ე რ ი. აი, ბატონო პოლკოვნიკო, ვფიქრობ, ამ ღორმა აუშვა შუშხუნები. შემთხვევის ადგილას გზაზე მილასლასებდა, ხელში რაღაც ფიცრები ეჭირა. ჩვენს ძახილზე არც კი შეჩერებულა. გასაფრთხილებლად ჰაერში ვისროლეთ, ყურიც არ დაუბერტყია.

შ ა მ ბ ე რ ი. ეს ხომ ყრუ მეკუბოვეა, რას გაიგებდა! *(მხეიძეს მრისხანებით)* იგი ლარისას ძმაა მგონი.

მ ხ ე ი ძ ე. *აღშფოთებით ეკვეთა ანდრეი გალკინს და სილა გააწნა)* იგია, იგი. ვფიცავ, მან აუშვა ყალბი შუშხუნები. ბატონო არმიის გენერალო, გთხოვთ იმდენი პატივი დამდოთ, რომ განაჩენი მე მოვიყვანო სისრულეში, ამ ძაღლს მე მოვუვლი. ჩემი ყოფილი საცოლის ძმა გახლავთ.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. *(შამბერს)* რას ამბობს?

შ ა მ ბ ე რ ი. მამასახლისი გახლავთ, რადგან გვემსახურება, მთელი ნათესაობა გადაეკიდა. ყოველდღე საჩივრებს სწერენ მასზე.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. ეს კარგია, მაგრამ არ გაგვაცურონ. ჭკუით, პოლკოვნიკო.

შ ა მ ბ ე რ ი. აი, საუკეთესო გამოცდა. *(ამ დროს მხეიძემ ერთ-ერთ ჯარისკაცს ავტომატი გამოსტაცა, გაცეცხლებულმა მოუღერა ანდრეის)* ხელები დაუჭირეთ! *(მივარდებიან, ავტომატს წაართმევენ).*

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. მოკლავდა თუ არა? ნუთუ ეს გულწრფელი კვეთება არ იყო? არ გავდა ყალბ პოზასა და ჟესტს. მანცვიფრებს, მაგრამ მახარებს კიდეც მამასახლისის მძვინვარება. ხედავ, როგორ იქაჩება, გაცეცხლებულია.

შ ა მ ბ ე რ ი. ჯერ ხომ გასარკვევია დანამდვილებით ამ კაცმა აუშვა თუ არა ყალბი შუშხუნები.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. უფრო მაინტერესებს, მოკლავდა თუ არა საცოლის ძმას შენი მამასახლისი?

შ ა მ ბ ე რ ი. ნებას თუ დამრთავთ, გამოვცდი მის ერთგულებას. ისეთი ჭუჭყიანი წარსული აქვს, რომ გამოსავალს გერმანელებთან კავშირში ეძებს.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. *(ახლოს იხმობს მხეიძეს)* მამასახლისო, სოფლიდან ცრუ სიგნალი მისცეს, ჩვენმა თვითმფრინავმა შეცდომით თავისიანები დაბომბა, ბედზე გადარჩა საწყობები, სადაც ჩემი ასიათასიანი არმიისათვის ნახევარი წლის სამყოფი იარაღ-საჭურველი ძევს. ერთადერთი სულიერი, რომელიც ჯარისკაცებმა შეიპყრეს, ეს გახლავს — შენი საცოლის ძმა. როგორც ჩანს, შამბერი შეცდა, ეგონა საიმედო იყავი, ამიტომ დაგაწინაურა, ნდობით აღგჭურვა. ახლა კი ირკვევა რაღაც საიდუმლო კავშირი გაქვს მათთან.

მ ხ ე ი ძ ე. ბატონო არმიის გენერალო, გთხოვთ საშუალება მომცეთ ერთხელ კიდევ დავუმტკიცო ერთგულება ჩვენს განმათავისუფლებელ ფიურერს. ნება დამრთეთ გავუსწორდე დიდი გერმანიის ქვეშ-ქვეშა მტერს.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. *(ღიმილით, დაყვავებით)* ჭაბუკო, დამშვიდდი, გონს მოდი! არ გისურვებ ხელი ნათესავის სისხლით გაისვარო. ალბათ მასთან ბევრი კარგი დრო გაგიტარებია.

ბიბლიოთეკა

მ ხ ე ი ძ ე. ანდრეი გალკინზე აუგი წინათაც გაუგია ჩემგან ბატონ პოლკოვნიკს. მისი საქმიანობა წინათაც მაეჭვებდა... დღესვე უნდა დაუბნელდეს მზე.

შ ა მ ბ ე რ ი. მართალს ამბობს. პროფესიით მეკუბოვეა ეს რუსი. თურმე გარდაცვლილი თანასოფლელებისათვის კუბოს მუხის ფიცრისაგან ამზადებდა, ჩვენი დაცემული ოფიცრებისათვის კი ყველაზე მდარე ფიცრებს არჩევდა.

გ ა ლ კ ი ნ ი. *(მხეიძეს)* გულბოროტო მზაკვარო, ხალხის მოღალატევ, სინდისით მოვაჭრევ. რამდენჯერმე განვიზრახე შენი მოკვლა. მაგრამ არაფერია, ადრე თუ გვიან თანასოფლელები მაინც გაგისწორდებიან.

წყეულო! სანამ გინდა ტყე-ტყე იბოგინო! ჩემს დას სიცოცხლე მოუშხამე. მას ახლა ყველა კიცხავს და თვალს არიდებს. შინ არასოდეს მოგესვლება. შენ ან ტრიალ მინდორში, ან ჭაობებში, ან ტყეში მოგკლავენ მალე, რა ოსტატურად გავთლიდი საშენო კუბოს...

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. ხმა ჩააკმენდინეთ მაგ უჯიშოს! *(მხეიძეს)* დე იყოს ნება შენი, ახლავე წაიყვანე დიდი გერმანიის მოღალატე და გაუვალ ჭაობებთან განაჩენი სისრულეში მოიყვანე. მალე მორჩი ამ საქმეს, ეჭვი არავინ აიღოს. *(მხეიძე ავტომატით წინ გაიგდებს ხელებგაბაწრულ გალკინს, გადიან).*

შ ა მ ბ ე რ ი. ბატონო არმიის გენერალო, თქვენ კარგად იცით, რასაც აკეთებთ. მამასახლისის გამოცდა გაინტერესებთ, მეკუბოვის სიცოცხლე არაფრად გიღირთ.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. მირბერ! აქ მოდი *(მირბერი მიუახლოვდა).* ათ წუთში კვალში წაყვები მათ. უთვალთვალე, როცა მიზანში ამოიღებს, იყვირე შეაჩერე, არ ესროლოს. ბრძანება შეცვალა-თქო, წადი. *(მირბერი გადის).*

შ ა მ ბ ე რ ი. რა შორს იყურებით. უდანაშაულოდ რომ დაიღუპოს, სოფელი აჯანყდება. ისედაც ვულკანზე ვდგავართ.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. პოლკოვნიკო შამბერ, ხომ იცი, რა გულწრფელი ნდობით გეკიდები. ეს იარაღი, საწვავი მასალა, ტყვია-წამალი შემთხვევით როდი გადმოიტვირთა შენი დივიზიის განლაგებაში.

შ ა მ ბ ე რ ი. მადლობელი ვარ ნდობისათვის.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. იცი თუ არა, რომ ოცი კილომეტრით წინ უნდა წაგვეღო, მაგრამ პარტიზანებმა გზები შეკრეს, ხიდები ააფეთქეს, შემდეგ ჩრდილოეთისაკენ დავძარით, სამხრეთში ვსინჯეთ, უარესს წავაწყდით. აქ კი ხელი არავინ შეგვიშალა. ძალზე საეჭვოა ეს. ახლა კი — დაბომბვა!..

შ ა მ ბ ე რ ი. ყალბ შუშხუნებს ხომ ყველგან უშვებენ, განსაკუთრებით ფრონტის ხაზზე, რათა დააბნიონ ჩვენი მფრინავები. აქ საწყობები არაფერ შუაშია.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. ნეტავი ასე იყოს. ვნახოთ. ლოგიკური კავშირი მეჩვენება...

შ ა მ ბ ე რ ი. სტალინგრადი როდის დაეცემა?

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. რაღაც გაჭიანურდა მისი აღება. პაულიუსმა გამაფრთხილა სატანკო დივიზიები მზადყოფნაში იყოსო. შორეული ზურგიდან ითხოვს დახმარებას. სამი ათასამდე ტანკი მზადა მყავს. ბენზინი აქ ინახება, შენთან.

შ ა მ ბ ე რ ი. მესმის თქვენი სიფრთხილე. კიდევ უფრო გავაძლიერებ დაცვას. *(ჭაობების მხრიდან ისმის ავტომატის ჯერის ხმა).*

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. ეს რას ნიშნავს? მამასახლისი!

შ ა მ ბ ე რ ი. ნუთუ ვერ მიუსწრო მირბერმა?

ჰერბერტი. ქსროლა, გაიმეტა. შენ არ გესმის რაოდენ სასიხარულოა ეს. მიგვიხვდა, რომ მის ერთგულებას ვამოწმებთ, თუ მათი ჯავრი უფრო სჭირს?

შამბერი. ნაძირალა, გაიძვერა, ყველას სძულდა აქ. ჭკუაშემღერებულს ეძახიან. პარტიაში გამძვრალა, თანამდებობა უშოვია, ფულის სვეჭას გაუტაცნია. არ ერიდებოდა მაქინაციებს. სახლი მისია, გვაჩუქა.

ჰერბერტი. დაკვირვებას აწარმოებ?..

შამბერი. დიდად მარიფათიანია, ნემსის ყუნწში გაძვრება. სწრაფი მოფიქრება და უტყუარი ალღო, ჯადოქრული მოხერხება აქვს.

ჰერბერტი. მინდა დავიჯერო. თუ ასეთია, უნდა გამოვიყენოთ. ნიჭიერ ადამიანს მეტი სულიერი მოთხოვნები გააჩნია, არ იკეტება ვიწრო პოლიტიკურ ნაჭუჭში.

შამბერი. ისე დამაჯერებლად მსჯელობთ, რომ...

ჰერბერტი. დიახ, შენი მამასახლისი პირველი როდია. ჯერ კიდევ ლვოვში, შემდეგ ჟიტომირში, სადღაც დონბასში შემხვედრია სწორედ ასეთები. ციხიდან გავათავისუფლეთ და უმალ დაიწყეს გერმანული იარაღის სასარგებლოდ სამსახური. ასეთთა აღზრდისათვის ბერლინიდან მადლობა შემომითვალეს, ორდენით დამაჯილდოვეს.

შამბერი. ისინი ომის დროს იძულებულნი არიან გვიერთგულონ.

ჰარბერტი. იცი, რას გეტყვი? დასავლეთში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ჭკვიან მამაკაცებს საჯარო სახლებიდან გამოყავთ ლამაზი კახპები და ჯვარს იწერენ მათზე.

შამბერი. რა გაუჭირდათ?

ჰერბერტი. ასეთი ქალები ოჯახურ მყუდროებაზე ოცნებობენ, მათ მოიეზოებული აქვთ მამაკაცთა გამოცვლა, უერთგულესი მეუღლენი ხდებიან.

შამბერი. ხამდვილად დასაჯერებელია. (*შემოდიან მირბერი და მხეიძე*).

ჰერბერტი. რა ჰქენით? სროლის ხმა გავიგონეთ.

მხეიძე. ბატონო არმიის გენერალო, მეორე ბრძანებას დააგვიანდა, პირველი კი კახონად მივიღე და პირნათლად შევასრულე. ვესროლე, ჭაობებში დაეცა...

მირბერი. ოდნავ დამაგვიანდა, ალბათ. მივრბოდი, ავტომატი რომ აღმართა, შესდექი-მეთქი, შევძახე. არ გაუგონია. მივედი ახლოს, ათ-თორმეტ მეტრზე ლაქაშებში დამხობილს შევავლე თვალი, მთვარის შუქზე შევნიშნე სისხლი, რომელიც წუმპეს წითლად ღებავდა.

ჰერბერტი. (*მხეიძეს*) ხომ არ გენანება შენი ნამოქმედარი?

მხეიძე. რა ბრძანებაა?! დამისახელეთ თქვენი მოღალატენი, თუნდაც ჩემი მშობლები იყვნენ, ამოვხოცავ, არ დავინდობ.

ჰერბერტი. (*გაეცინება*) მერედა, ღმერთს რა პასუხს გასცემ?

მხეიძე. ღმერთი შემწეა, იგი ძლიერთა მხარესაა.

ჰერბერტი. ვინღაა ძლიერი?

მხეიძე. გერმანია, უმაღლესი რასა. ბატონმა შამბერმა ამიხსნა, რომ ძველ საბერძნეთში მონათმფლობელობის დროს თურმე არნახულად მომწიფდა ადამიანის აზრი, განვითარდა ცივილიზაცია. რადგან კაცობრიობა წარმოუდგენელია კულტურის გარეშე, საჭირო ყოფილა დავუბრუნდეთ მონობას. ვინ უნდა იბატონოს? მაღალმა რასამ — გერმანელმა სალხმა. ამას ესწრაფვის მისი ბრწყინვალება ფიურერი.

ჰერბერტი. (*შამბერი კმაყოფილია*) კარგია! ყოჩაღ! აგითვისებია ჩვენი შეხედულება, მრწამსი. ბევრ გერმანელ ჯარისკაცს ასე ღრმად არ ესმის მაღალი დანიშნულება ნაციზმისა.

მხეიძე. მას შემდეგ, რაც ბატონმა პოლკოვნიკმა განმიმარტა, პირადად მე წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი დემოკრატიზმისა, რომელიც უღლის სათრევად გაჩენილ ბრბოს ამხედრებს წარმოშობით კეთილშობილ მებატონეთა წინააღმდეგ. უფრო მეტიც — დემოკრატიზმში პოულობს იგი შურისძიების უფლებას.

ჰერბერტი. ყოჩაღ, ყოჩაღ! განაგრძე, გეთაყვა! თქვენ რას უდგეხართ აქ, მიხედეთ საქმეს, (*შამბერი მიდის გერმანელებთან და რაღაცას ეჩურჩულება, შემდეგ გადიან*) შამბერ, ეს ფილოსოფოსი...

შამიერი. „მაინ კამფი“ წავაკითხე. არ მეგონა თუ ასე აითვისებდა.

მხეიძე. მე ჩავწვდი იმ აზრს, რომ სოციალიზმი როცა დემოკრატიას ქადაგებს, ამით ებრძვის უმაღლესი რასის უზენაეს დანიშნულებას.

ჰერბეოტი. შენი ქვეყნის საბჭოურ წყობილებაზე რას იტყვი?

მხეიძე. ფიურერის აზრების შუქზე გიპასუხებთ ასე: (*პაუზა, ფიქრობს*). ჩვენი სიხამდვილე, ანუ სოციალიზმი იწვევს საზოგადოებრივი მაჯისცემის მოდუნებას, ენერგიული მოღვაწეობის გაქრობას.

ჰერბერტი. (*აღტაცებით*) ეს ნიცშეს ციტატაა. ზეპირად რამ მოგაგონა! ყოჩაღ მხეიძე!

მხეიძე. გმადლობთ. ვადიდებ გერმანელის დისციპლინასა და შინაგან სიდიადეს. მინდა მოგბაძოთ. ამიტომ მსურს ჩავწვდე თქვენს მსოფლმხედველობას.

ჰერბერტი. ახლა კი კმარა, მგონი ექსტაზში შეხველ. ხვალ საქმეები გელოდება. დაისვენე.

მხეიძე. არის დავისვენო! ღამე ნებისა (*თავს უკრავს ორივეს, მიდის*).

ჰერბერტი. შამბერ, როგორ გგონია, ვინ არის?

შამბერი. ბევრი საბუთი გვიმოწმებს, რომ ვჭირდებით.

ჰერბერტი. მეც მომაჯადოვა, მაგრამ ნუ ავჩქარდებით. დღევანდელ მკვლელობას აურზაური მოყვება, სოფელი აჯანყდება. ფხიზლად, პოლკოვნიკო.

შამბერი. იმედი გქონდეთ, ბატონო არმიის გენერალო.

ჰერბერტი. (*საათს დახედავს*) გვიან ყოფილა. წავალ.

შამბერი. მანქანა გელოდებათ, (*ჰერბერტი მიდის*) ნახვამდის.

## სურათი II

შამბერი. (*ერთხანს ფანჯარაში იცქირება, ფიქრობს, მერე მაგიდას მიუჯდება, მუშაობს*). კვლავ საჩივარი მამასახლისზე. თითქოს მეტი საქმე არ მქონდეს. ფინეთთან ომში იღებდაო მონაწილეობას, თავი გამოიჩინა, ორდენები დაიმსახურაო. (*თავს ასწევს*) ორდენები ტყეში გადაჰყარა, მაგრამ ვიპოვეთო. გამოუგზავნიათ (*ათვალიერებს ორდენებს*). პატრიოტობას სწამებენ და ამით სურთ სახელი გაუტეხონ გერმანელთა წინაშე. არ ასვენებენ, ერთი სული აქვთ დალუპონ. (*შემოდის მირბერი, მიესალმება*) რა იყო?

მირბერი. მხეიძეს სურს შემოსვლა.

შამბერი. ჭკუაშემღერებული? შემოუშვი.

მირბერი. ახლავე (*გადის*).

შემოდის მხეიძე, რამდენიმე ფუთა უჭირავს, ალაგებს რაფაზე, მაგიდაზე, მლიქვნელურად ესალმება შამბერს.

მ ხ ე ი ძ ე. იმედია, არ დამტუქსავთ; ვიცი სურსათით მომარაგება გიჭირდათ. ამიტომაც გაგიბედეთ.

შ ა მ ბ ე რ ი. რა მოიტანე?

მ ხ ე ი ძ ე. *(ხსნის ერთ ფუთას, მეორეს. აქ საუკეთესო* ლორია, ეს ძეხვია, კვერცხები. ეს საუკეთესო რუსული არაყი გახლავთ.

შ ა მ ბ ე რ ი. შემწვარი და მოხარშული ქათმებიც არ დაგვიწყებია. ყოჩაღ, ჭკუაშემღერებულო. სად გააჩერხე?

მ ხ ე ი ძ ე. თავისიანი კაცი ყველას ჰყავს. მე თქვენ გაღმერთებთ, იქ კი სხვები, ყოფილი ჩემი ამფსონები, მე პატივს მცემენ. გულუხვობა დალოცვილი თვისებაა.

შ ა მ ბ ე რ ი. ხომ არ ჭირდები?

მ ხ ე ი ძ ე. ჯერ რა უნდა გავუკეთო მათ სასიკეთო! წინ იყურებიან.

შ ა მ ბ ე რ ი. გასაგებია. ჩვენი გამარჯვების შემდეგ, ცნობილი კაცი იქნები, წონა დიდად აგიმაღლდება გერმანელთა შეწყნობით. მაშინ გამოგიყენებენ, ჭკუაშემღერებულო. საცაა სტალინგრადი დაეცემა და გზა გაგვეხსნება კავკასიისაკენ, საქართველოსაკენ.

მ ხ ე ი ძ ე. ჰო, ალბათ... *(თვალს ჩაუკრავს, სუფრას შლის, გვერდითი ოთახიდან ჭიქები გამოაქვს, ავსებს)* გერმანული იარაღის გამარჯვებისა იყოს! *(სვამენ, შეექცევიან).*

შ ა მ ბ ე რ ი. მომეწონა *(ფანჯრებზე უთითებს)* შენი ნამოქმედარი.

მ ხ ე ი ძ ე. სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ფოლადის ჩარჩოები ჩავასმევინე. აქ მუშაობთ, აქ იძინებთ. პარტიზანები ნადირობენ თქვენისთანა ჩინოსნებზე. კარსაც საკეტები გამოვუცვალე. საძინებელი გვერდით ოთახში მოვაწყობინე, დროებითი წყალსადენის მაგვარიც გავაკეთებინე, იქვე დაიბანთ ხელ-პირს.

შ ა მ ბ ე რ ი. წვრილმანია, მაგრამ რა უფლება მაქვს არ მოგიწონო. *(მხეიძე კიდევ ავსებს ჭიქებს).* სამუშაო გვაქვს, ნუ ვეძალებით არაყს.

მ ხ ე ი ძ ე. რა მაგარია, ცეცხლად მომედო მთელ სხეულში. *(შესვამს, პაუზა)* რაღაც საიდუმლო უნდა გაცნობოთ. უფრო იმიტომ მოვედი.

შ ა მ ბ ე რ ი. *(არ შეუსვამს)* რაო? სთქვი.

მ ხ ე ი ძ ე. ამფსონებმა მითხრეს, აქ ოციოდე კილომეტრზე, სოფელ ზარიასთან, ტყეში პარტიზანთა რაზმი დაბანაკდაო წუხელ.

შ ა მ ბ ე რ ი. ეს ძალიან ახლოსაა. ჩვენი საწყობები დაუნოსეს? ახლავე, ახლავე გავცემ ბრძანებას ჯერ მზვერავი გაგზავნონ, დაცვაც გააძლიერონ. მირბერ, მირბერ! *(შემოდის ადიუტანტი)* ახლავე შტაბის უფროსს გადაეცი ზარიას მიმართულებით გზები შეკრას, გაუჩხრიკავად არავინ გამოუშვას, იქაური ტყეები დაზვეროს. ერთი სიტყვით, მეტი სიფხიზლე.

მ ი რ ბ ე რ ი. ახლავე გადავცემ *(გადის).*

მ ხ ე ი ძ ე. სულ დამავიწყდა მეთქვა; ტელეფონს დღეს ან ხვალ დავადგმევინებ, მთელ მილეთს დაგაკავშირებთ. *(პაუზა).* თუ არ მიწყენთ, რაღაც უნდა შემოგთავაზოთ.

მ ი რ ბ ე რ ი. ერთი გლახა ხატს შეეჩვია თურმე, მერე ნაფოტებს ესროდაო. ისე არ მოგივიდეს. დისტანციის გრძნობა იქონიე, თქვი.

მ ხ ე ი ძ ე. *(იმშუშნება, უხერხულად)* ნამდვილი ვაჟკაცი ხართ. საქმეების გამო თავი გავიწყდებათ, ამიტომ მოვლა გჭირდებათ. აი, დროზე ცხელი საუზმე, სადილი, გარეცხვა, დაუთოება. ერთი სიტყვით, მოვლა გჭირდებათ.

შ ა მ ბ ე რ ი. როგორი? ვინ?

მ ხ ე ი ძ ე. არც ბებრუხანა, არც უსახური! ერთი ლამაზი და სანდო გოგონა მყავს მხედველობაში. იმსახურებთ ჯარასავით— იტრიალებს ალერსს დაენატრებით. — ხელში შემოგადნებათ.

შ ა მ ბ ე რ ი. ო, ო, ჭკუაშემღერებულო. რა მოხერხება გაქვს. ხომ არ გინდა ლაქაშების მსხვერპლივით გახრწნილების წუმპეში ჩამითრიო *(ხარხარებს).* ისე, ლამაზი გოგონა რომ ვიმსახურო, ვინ დამიშლის.

მ ხ ე ი ძ ე. ვერავინ! გამარჯვებულებს არ ასამართლებენ!

შ ა მ ბ ე რ ი. შენით კმაყოფილი დარჩა გენერალი ჰერბერტი.

მ ხ ე ი ძ ე. თუ არ მიწყენთ, მისთვისაც მზად მაქვს მდიდრული ძღვენი. მხოლოდ თქვენ გაუგზავნეთ, მადლიერი დაგრჩებათ.

შ ა მ ბ ე რ ი. გულგრილად ვერ შევხვდები მაგ შენს აზრს *(პაუზა).* ეს მითხარი, ფინეთის ომში ხომ არ მონაწილეობდი?

მ ხ ე ი ძ ე. *(პაუზა. გაკვირვებული, ერთხანს სდუმს).* კი, როგორ არა! ვიბრძოდი, როგორც შემეძლო.

შ ა მ ბ ე რ ი. საბჭოთა პატრიოტო, ორდენები დაგიმსახურებია *(ამოაქვს უჯრიდან, შორიდან უჩვენებს, მხეიძე აკვირდება ორდენებს, შემდეგ ხარხარებს)* რა ხორხოცია გცოდნია შე ჭკუაშემღერებულო!

მ ხ ე ი ძ ე. *(იცინის გულიანად)* თქვენც გაგეცინებათ ახლა.

შ ა მ ბ ე რ ი. ჭკუადამთხვეული უსაფუძვლოდ იცინის.

მ ხ ე ი ძ ე. თოფი ერთხელაც არ გამისვრია. ათასნაირი ხრიკებით სიცოცხლე შევინარჩუნე. როცა ნაომარი შინ ვბრუნდებოდი, დავფიქრდი. რა მეპასუხა შეკითხვაზე: ვაჟკაცო, როგორ იომე? მატარებელში ერთ ვიღაც ოხერ მაწანწალას გადავეყარე. ქურდი და მკვლელი ყოფილა, ციხიდან გამოქცეული. თითქოს მსხვერპლი გამომიჭირა, შემომთავაზა ორდენები, მკერდს დამამშვენებსო შინ მიმავალ ჭაბუკსო. რაღაც კაპიკები დაგიჯდა. *(იცინის).*

შ ა მ ბ ე რ ი. დიდი გაქნილი ვინმე ხარ...

მ ხ ე ი ძ ე. ორდენები მკერდზე დავიბნიე, თავმომწონედ, ამაყად ჩაველ ჩემიანებთან. *(ორდენებს ხელში იღებს)* ეს წითელი ვარსკვლავისაა, ეს — წითელი დროშის.

შ ა მ ბ ე რ ი. მესამე რა ორდენია?

მ ხ ე ი ძ ე. ეს თურმე ნიკოლოზის დროინდელი ორდენია — გიორგის პირველი ხარისხისა *(იცინიან).* შემომაჩეჩა იმ ოჯახქორმა. სოფელში მოხუცებმა იცნეს, სიცილი დამაყარეს, თავი მომეჭრა.

შ ა მ ბ ე რ ი. მართლაც, რა სასაცილო რამ მოსვლია. სიცრუეს მოკლე ფეხები აქვსო.

მ ხ ე ი ძ ე. რას გადამეკიდა ეს ხალხი? არ დამედგომება აქ. *(ალაგებს სუფრას, მეორე ოთახში გადის, მალე ბრუნდება, აცვია შამბერის ზედა ფორმა, სამხედრო გვერდში ამოუდგება, გერმანელი აკვირდება).*

შ ა მ ბ ე რ ი. გიხდება, მიდი სარკესთან. ჩემი ახოვნება, სიმაღლე, ქერათმიანი ჩემსავით, ენის მცოდნე. ჰმ *(თავისთვის)* ორეულად გამომადგება! ძველი შარვალი ჩაიცვი, ჩექმებიც *(მხეიძე გადის)* პარტიზანთა თავდასხმისას ჩავაცმევ, გავუშვებ. მხოლოდ ულვაშები უნდა მოვაპარსვინო. *(შემოდის მირბერი).*

მ ი რ ბ ე რ ი. ბატონო პოლკოვნიკო, გალკინები ითხოვენ აუდიენციას.

შ ა მ ბ ე რ ი. ერთ-ერთი შემოუშვი, ლარისა!

*მირბერი თავს უკრავს და გადის, შემოდის ლარისა, დაღვრემილი მიესალმება, შამბერი სკამზე უთითებს. ლარისა ჯდება.*

შ ა მ ბ ე რ ი. ლამაზ სახეზე ღრუბლის ჩრდილივით ნაღველი გადაგფენია. ცუდი რამ ხომ არ შეგემთხვათ?

ლ ა რ ი ს ა. თითქოს არ იცოდეთ! *(პაუზა)* მამასახლისისათვის მიგინდვიათ ჩემი ძმის მოკვლა. სამი დღის წინ ჭაობებში სელებგაბაწრული ორივე ფეხში დაუჭრია.

შ ა მ ბ ე რ ი. *(შეკრთა)* როგორ? დაუჭრიაო?

ლ ა რ ი ს ა. ვიცი, რატომ შეკრთით. თქვენ ხომ უდანაშაულო ადამიანის მოკვლა დაავალეთ მას.

შ ა მ ბ ე რ ი. არაფერი ვიცი ამის შესახებ!

ლ ა რ ი ს ა. რად მიმალავთ, ბატონო პოლკოვნიკო. ძმამ ჩოქვითა და ხოხვით მოაღწია შინ. ყველაფერი გვიამბო. მარჯვენა ფეხის ძვალი გადატეხილი აქვს.

შ ა მ ბ ე რ ი. ის ყრუ შენი ძმა არის? მომაგონდა. დანაშაულის ადგილას მარტო ის შეიპყრეს. გამოტეხვა გვინდოდა. მისი მოკვლა არავის განუზრახავს. არაფერია, მამაშენი მალე მოარჩენს.

ლ ა რ ი ს ა. მამასახლისს სურდა თქვენდამი ერთგულება დაემტკიცებინა. ვფიქრობ, მკვლელისა და ერთგულის როლი გაითამაშა. გითხრათ მოვკალიო. არ შეცდეთ, არ ენდოთ, თვალს გიხვევთ. მე სიცოცხლე გამიმწარა, მისმა მშობლებმა ოჯახიდან გააძევეს, ჭუჭყიანი სული აქვს, ნაძირალაა, ქურდია, ავაზაკია, ყველაფერს იკადრებს.

შ ა მ ბ ე რ ი. *(თავისთვის)* მაშ, ვის ვენდო, ვის!?

ლ ა რ ი ს ა. არსად შემხვდა, თორემ ჩემი ხელით მოვკლავ.

შ ა მ ბ ე რ ი. ამას ვერ შეძლებ. ის ახლა ჩვენს სამსახურშია.

ლ ა რ ი ს ა. გიმეორებთ, თვალს გიხვევთ, გატყუებთ იგი. ისეთი მარიფათიანია, ეშმაკს შეაცდენს. მითხარით, სად დადის, სანამ უნდა დამემალოს!

შ ა მ ბ ე რ ი. ბევრი საქმე აქვს. სოფლის თავკაცად დავნიშნეთ. *(პაუზა)* ძმის მკურნალობაში დახმარება ხომ არ გინდათ?

ლ ა რ ი ს ა. სისხლს რომ ავიღებთ, მაშინ დავმშვიდდებით ძმაც და მეც.

შ ა მ ბ ე რ ი. *(თავისთვის)* გამოვცდი... ახლავე მოვალ. *გადის გვერდით ოთახში, შემოდის პოლკოვნიკის ფორმაში გადაცმული მხეიძე, ხორცით სავსე სინს დგამს მაგიდაზე, ხელს შეახებს ლარისას, მაგიდისკენ მიუთითებს).*

ლ ა რ ი ს ა. *(ხელს იცილებს, თავს ნელ-ნელა მაღლა წევს, რომ შეხედოს)* გმადლობთ.

მ ხ ე ი ძ ე. *(დაიხრება, ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებს)* ნუ გერიდება.

ლ ა რ ი ს ა. *(წამოიჭრება, გაავებულია)* ხელი გასწით, როგორ გაბედეთ... *(შამბერი კარებიდან თავს გამოყოფს, ლარისა საფულედან რევოლვერს ამოიღებს, აღელვებული ხელით აღმართავს, მხეიძე მარცხენა ხელს შეაგებებს ლულას. ისმის გასროლის ხმა).*

მ ხ ე ი ძ ე. რას შვრები, მხეცო. შენ ბატონ შამბერის მოკვლა გინდოდა, არა? დილეგში ამოგახრჩობთ, დილეგში *(ჯდება ფერწასული, შემოდის შამბერი).*

ლ ა რ ი ს ა. *(განცვიფრებულია, რევოლვერი გააგდებინეს)* ვერ მოგკალი, რა მომივიდა?

შ ა მ ბ ე რ ი. მე გეგონე, არა!? მირბერ, მირბერ *(შემორბის მირბერი)* ხედავ რა იღბალზე გადავრჩი! ახლავე ხელები დაუგრიხეთ, დილეგში მიაბრძანეთ. *(გუშაგები შემოცვივდებიან, ლარისას სცემენ, ხელებშეკრული გაჰყავთ).*

მ ხ ე ი ძ ე. სამი თითი მომაგლიჯა. არ მენანება; ტყვია გულშიც რომ მოერტყა, არ ვინანებდი, რადგან თქვენ გადარჩით. ვუმადლი ამ გერმანულ ფორმას. ორეული რა სასარგებლო ყოფილა, ცხოვრებაში ყველამ უნდა გაიჩინოს, რადგანაც ყველას გააჩნია მოსისხლე მტერი.

შ ა მ ბ ე რ ი. *(ათვალიერებს ჭრილობას)* მეც სამი თითი მაკლია, ამავე ხელზე! რა დამთხვევაა. ძალიან გტკივა? არაფერია, გაუძელი.

მ ხ ე ი ძ ე. ამას კი ავიტან, მაგრამ თქვენი თავი რომ წამართვან, მაშინ რა მეშველება? ჩანს ნადირობენ? *(შემოდის ექთანი, მიესალმება იქ მყოფთ, ჭრილობას მობანს, უხვევს, (მხეიძე გაჰყავთ)* ნახვამდის, მალე გამივლის.

შ ა მ ბ ე რ ი. თავს მოუარე... *(თავისთვის)* იცრუა; თითქოს ქალს ჩემი მოკვლა ეწადა. არა! ლარისამ ნამდვილად მხეიძეს ესროლა. რატომ იცრუა მხეიძემ? უფრო მძიმე ბრალდება რომ ჰქონოდა ქალს'?! ეთქვა სიმართლე—ჩემი მოკვლა წინასწარ განზრახული ჰქონდაო? მაშინაც, ხომ მივიღებდით ზომებს. არა! ასე სჯობდა მისთვის! მეტი დასახურებაა! გამოდის, თითქოს ჩემი გულისათვის თავს გასწირავდა. მის ადგილას მეც ასე მოვიქცეოდი. *(ფიქრობს)* კიდევ რა შესაძლებლობაა? იქნებ, მართალია იგი. ხომ შესაძლოა ქალი შემოგზავნეს ჩემს გასაქრობად. მაშინ, რა იღბლად ჩაუცვამს ჩემი სამხედრო ფორმა! ნიკაპს ქვემოთ ხალი რომ მაზის, დედა მეუბნებოდა, არ მოიცილო, იგი შენი ბედნიერების ნიშანიაო. კიდევ რა შესაძლებლობაა? ვთქვათ გამათამაშეს და რაც მოსდა, წინასწარ შემუშავებული გეგმის თანახმად განხორციელდა. ზუსტად სამი თითი დაკარგა. რას გამაცურებენ *(ხარხარებს)*. სწორედ ამიტომ დილეგში ამოვაყოფინე თავი მზეთუნახავს. ვნახოთ, რას მოიმოქმედებს მამასახლისი. კიდევ ერთხელ გამოვცდი მის ერთგულებას *(ღილაკს აჭერს, შემოდის მირბერი).*

მ ი რ ბ ე რ ი. გამოვამწყვდიეთ დილეგში. ყურის წამლებად კივის.

შ ა მ ბ ე რ ი. არაფერია, დაწყნარდება. ახალი რა არის?

მ ი რ ბ ე რ ი. როგორც ირკვევა, ის მეკუზოვე ცოცხალი გადარჩენილა. ეს ამბავი მთელ სოფელს ენაზე აკერია.

შ ა მ ბ ე რ ი. ნამდვილად ვიცი, რომ გადარჩა. ფეხის ძვალი აქვს გადამტვრეული. რა ვუყოთ. სიბნელეში ესროლა მამასახლისმა. კაცი წაიქცა. სისხლი შენც ნახე. ამ შესაზარ ქვეყანაში გაცილებით იოლია კაცს მიზანში ზუსტად ამოღება ასწავლო; ძალზე ძნელია ერთგული რუსი აღუზარდო დიდ გერმანიას! *(პაუზა)* მაინც მწამს მისი, ვესაჭიროებით და გვემსახურება.

### მოქმედება II

### ს უ რ ა თ ი III

*ნატაშა გალკინა — ლამაზი, ახალგაზრდა ქალია. იგი ოთახს ალაგებს. ფერადი ფარდები ჩამოუკიდია. უკვე დგას ტელეფონი, ნატაშა სწმენდს ფანჯრებს, მაგიდაზე სკამს დგამს, მაღლა ადის, მღერის გერმანულ მელოდიას, კეკლუცობს, შემოდის მირბერი.*

მ ი რ ბ ე რ ი. ჩუმად, ნუ მღერი. შეფს გაეღვიძება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატაშა. ნუ უხეშობ. იარაღით დაშინებულს შეგიძლია კრინტიც არ ამომაღებინო, მაგრამ სიმღერა ღმერთსაც აჯადოებს. (*მღერის*).

მირბერი. ბავშვივით მსჯელობ, მიამიტო... ლამაზო, რამდენი წლისა ხარ?

ნატაშა. იმ ასაკისა ვარ, როცა შენისთანა ოცი ჭაბუკი მაინც უნდა მეხვეოდეს, მაღმერთებდეს, მეფიცებოდეს.

მირბერი. ჯობია ერთი, მაგრამ გულწრფელად გცემდეს თაყვანს.

ნატაშა. პატიოსანი ჩანხარ, მაშასადამე დონდლო იქნები.

მირბერი. შეუდარებლად მღერი, მომწონს შენი ცეკვები.

ნატაშა. იმიტომ, რომ გერმანულია, არა?

მირბერი. ნუ მიცქერი ეგრე ცეცხლოვანი თვალებით (*ახლო მიდის*). სულ თვრამეტი წლისა ვარ. ჯერ ასე ტკბილად არ უძგერია ჩემს გულს.

ნატაშა. გაიწი (*კაბის კალთას ისწორებს*), უსირცხვილო! საერთოდ ნუ მაცდენ.

მირბერი. მინდა ირწმუნო, რომ მომწონხარ.

ნატაშა. ჩემო პატარა რაინდო (*სიცილით*), ჯერ არაფერი გაგიკეთებია ისეთი, რომ ჩემი ყურადღება დაიმსახურო.

მირბერი. სადღა მეცალა, ძვირფასო. სულ გაწამაწიაში ვარ. ახლა კიდევ...

ნატაშა. რატომ შეწყვიტე საუბარი. საიდუმლოა?

მირბერი. ჰმ.

ნატაშა. პატარა საიდუმლოსაც არ მიმხელ. როგორ გინდა სიყვარულში დამარწმუნო.

მირბერი. გეტყვი. რა მოსდა. ჩვენები სტალინგრადში შეჭრილან. ხვალ-ზეგ ავიღებთ. (*ჩუმად*) ბრძანება მივიღეთ, საწყობებიდან გაიზიდოს ყოველივე. მაშასადამე, ჩვენი ნაწილიც გადაინაცვლებს.

ნატაშა. რაიმე ახალს მეტყოდი მეგონა. გუშინ ბატონი პოლკოვნიკი საუბრობდა ამაზე.

მირბერი. როგორ? დღეს მივიღე რადიოგრამა. უმადურო, არ აფასებ ჩემს ერთგულებას! (*მიდის*) გამარჯვების შემდეგ გერმანიაში წაგიყვან, ფაბრიკები მაქვს. (*ახლოს მიდის*).

ნატაშა. რას შვრები, შოშიასავით დაგიღია ხახა. ვიყვირებ. შეფს გამოეღვიძება, მიშველეთ!

შემოდის შამბერი.

შამბერი. რა ხმაურია! (*ათვალიერებს დალაგებულ ოთახს, უახლოვდება ნატაშას*).

ნატაშა. მიშველეთ, ბატონო პოლკოვნიკო. ვერ გავიგე, რას მოითხოვს. (*ზემოდან ისკუპა, შამბერს ყელზე ჩამოეკიდა*). მიყვარს თქვენისთანა ღონიერი მამაკაცი (*ეკვრის*).

მირბერი. მღეროდა, ბატონო პოლკოვნიკო, ავუკრძალე.

შამბერი. იგი არტისტია, გერმანული სიმღერებით გვასიამოვნებს.

მირბერი. ავუკრძალე, რათა ძილი არ დაეფრთხო თქვენთვის.

შამბერი. წადი, შენს საქმეს მიხედე (*მირბერი უსიტყვოდ გადის*) მაკოცე.

ნატაშა. ოჰო, ნატიფი ზრდილობით გინდათ მომაჯადოვოთ! (*ხელს გაუშვებს, შორდება*).

შამბერი. კარგად დაგილაგებია! იდეალური სისუფთავეა! ახალი ფარდები! ოჰო, ტელეფონიც დაუდგამთ, ყოჩაღ, მამასახლისო.

ნატაშა. (*ქარაფშუტულად, თავქარიანად ლაპარაკობს, სხაპასხუპით*) საუკეთესო ადამიანია იგი, ყველაფერში გამოსადეგი.

შამბერი. ვინ?

ნატაშა. მამასახლისი, ჩემი ყოფილი სასიძო.

შამბერი. მან ხომ ყველა გადაგიმტერათ?

ნატაშა. ჩემს გარდა. ვუჯერებ, მწამს მისი. წინ იყურება.

შამბერი. საინტერესოა!

ნატაშა. ახლა ისეთი დროა, ცუდზე არ უნდა იფიქრო, არც კარგი გეზმანებოდეს. ტალღას ვგავარ მე. ცხოვრების მდინარის დინებას მივყვები.

შამბერი. თუ მდინარე ადიდებულია, თავის შველაზე ფიქრია საჭირო.

ნატაშა. იმედი და ხსნა არ არის. ომი იმ სასაკლაოსა ჰგავს, სადაც ყოველ პირუტყვს ადრე თუ გვიან სიკვდილი ელის.

შამბერი. ვინ არის პირუტყვი?

ნატაშა. უძლური და სუსტი.

შამბერი. დასცინი შენიანებს!?

ნატაშა. მწარე სიმართლე მირჩევნია თვალთმაქცურ დაიმედებას. ასე ფიქრობს ჭკუაშემღერებულიც. იგი უსმენს და უმზერს ჩარხის ტრიალს, აკვირდება საუკუნეს, შემდეგ აკეთებს დასკვნებს.

შამბერი. კი მაგრამ, სადღაა სამშობლოს სიყვარული, რუსული სიამაყე და თავმოყვარეობა.

ნატაშა. უსარგებლო გრძნობები მოჩლუნგდა.

შამბერი. ასე ნათლად მხეიძეს არ უმსჯელია.

ნატაშა. უფრო საქმეს აკეთებს იგი.

შამბერი. შენ თავქარიანი ჩანხარ.

ნატაშა. ქარაფშუტა, მაგრამ ალალმართალიცა ვარ. ტკბილი ნამცხვარი, მურაბები, კარაქი, ძეხვიც კი მენატრება (*ტირის*).

შამბერი. ომია. ციდან ხომ არ ჩამოფრენილხარ?

ნატაშა. მოვითმინოთ, არა!? გეკითხებით, სანამ? ამიტომაც მხეიძესთან ერთად გადავწყვიტეთ სწრაფად გაგამარჯვებინოთ თქვენ, ძლიერებს.

შამბერი. სწორია, ჩემო ცუგრუმელა. ასე რომ ესმოდეს ყოველ რუსს.

ნატაშა. როგორ აგიხსნათ? ბრბოა ჩვენი ხალხი. მტერს არ ჩავათელვინოთ მშობლიური მიწა, ავიშოროთო მონობის უღელი და ასე შემდეგ. გაცვეთილი სიტყვებია, ომის გასამართლებლად მოგონილი.

შამბერი. არ გიცნობდი. ახლა უფრო ლამაზი მეჩვენები (*უახლოვდება*).

ნატაშა. მე ერთხელ ვცხოვრობ ქვეყანაზე. მოვითხოვ ხალისიან დღეებს. შემომხედეთ რას ვგევარ. განა ქალიშვილი ასე უნდა იცვამდეს? შიმშილსა და წყურვილს შევეჩვიე, ეს ერთი კაბაც შემომაცვდა.

შამბერი. არაფერია, ჩემო გვრიტო. ცოტა მოითმინე, სულ ცოტა. სტალინგრადის, მოსკოვის დაცემით დამთავრდება ომი. მოსარჩლედ გეყოლები.

ნატაშა. სიდუხჭირეს ავიტანდი, მაგრამ ახალგაზრდობა ხელიდან რომ მეცლება? ახლა თაყვანისმცემლები კაბის კალთებს უნდა მასევდნენ (*იცინიან*).

შამბერი. რა თქმა უნდა, გენაცვალე! (*ეხვევა, უნდა აკოცოს. შემოდის მხეიძე. ხელი შეხვეული აქვს*).

მხეიძე. ხელი შეგიშალეთ, მგონი.

ნატაშა. კარგ გუნებაზე დავდექი. სტალინგრადში შეჭრილან ესენი (*უთითებს შამბერზე*). ომი საცაა დამთავრდება, ჭკუაშემღერებულო.

მხეიძე. ვინ გითხრა, ქარაფშუტავ.

ნატაშა. კიდევ მეტი საიდუმლო ვიცი... მალე საწყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს დაცლიან, მოხდება ადგილგადანაცვლება. *(შამბერს)* ჩვენ დაგვტოვებთ?

შამბერი. *(გაბრაზებით)* ტყუილია, გაჩუმდი. *(მხეიძეს)* უთენია რამ მოგიყვანა?

მხეიძე. არ დამაძინა ხელის ტკივილმა. ნატაშასათვის დარიგებაც უნდა მიმეცა. ვხედავ, კარგად მუშაობს. იმსახურებთ — ჯარასავით იტრიალებს, ალერსს დაენატრებით — ხელში შემოგადნებათ.

ნატაშა. რაებს ამბობ! ნუ მაწითლებ *(კეკლუცობს)* ბატონო პოლკოვნიკო, ერთი სათხოვარი მაქვს.

შამბერი. რა?

ნატაშა. საღამოს მინდა ქალაქში გავემგზავრო, ხვალამდე გამანთავისუფლეთ. ბიძა გამხდარა ავად, ვინახულებ.

მხეიძე ათვალიერებს ფარდებს, სისუფთავეს.

შამბერი. დღეს ხომ შაბათია. მეც გამომიძახეს, მივემგზავრები. გაგაცილებ, მსახიობო.

ნატაშა. მე ოთხთვალათი პურის ფქვილი, კარტოფილი მიმაქვს. შიმშილობენო.

შამბერი. მანქანით წამოგყვები, ჩემს გვერდით უშიშრად იქნები.

ნატაშა. რას ბრძანებთ! თქვენი შეწუხება როგორ შემიძლია? თუმცა განათლებული გერმანელი ოფიცრის მოსაწონ თავაზიანობას, რაც ძალზე ხიბლავს რუს ქალიშვილებს, უარით ვერ შევხვდები.

შამბერი. ნუ გერიდება. რის შეწუხება. თუ ყველაფერში დამყვები, საქმე კარგად წაგივა. ომის შემდეგ ბერლინის თეატრში მოგაწყობ. ჩემი პროტექციით ბიძაშვილი მოხვდა იქ. ძალზე დაწინაურდა. დასაწყისში ყაჩაღების როლს თამაშობდა. ხან კარლ მოორის, მერე ვილჰელმ ტელის... ვთხოვე დირექტორს და მალე მთავრის როლი შესთავაზეს, შემდეგ ხელმწიფისა. ხომ ხედავ სცენაზე როგორ დაწინაურდა. ოღონდ ხომ იცი? ვალში იქნები... *(ნატაშამ ტუჩები ამრიზა ყალბი აღშფოთების ნიშნად, შემდეგ გადაიკისკისა. შამბერმა მკლავში ხელი ჩაავლო).* მაშ მივდივართ!

ნატაშა. წინასწარ მადლობელი ვარ ასეთი ყურადღებისათვის. *(შამბერი მკლავზე კოცნის).* წავალ მოვემზადები *(ნატაშა გადის).*

შამბერი. რა გოგოა! ჩაპუტკუნებულია. *(პაუზა)* ნატაშამ ბევრი გაქო.

მხეიძე. თქვენ რატომღაც გგონიათ, რომ მთელი სოფელი ჩემი მტერი იყო.

შამბერი. შენი მოკეთე ჩვენი მოკეთეცაა.

მხეიძე. მათი რიცხვი მრავლდება. ცხოვრება, ვით ისტორია, ძალთა თამაშია.

შამბერი. ეს ფრაზა მომწონს. ცხოვრება — ძალთა თამაშია. ამას ჰქვია განზოგადება. კარგი უნარი აღმოვაჩინე შენში.

მხეიძე. მთავარია, ძალთა თამაშის დროს ანგარიშში არ მოტყუვდე, არჩევანი ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი უნდა იყოს.

შამბერი. ინსტინქტური ალღო გაგაჩნია, თანაც სწორი.

მხეიძე. მძაგს ხელმოცარულობა, ვაღმერთებ წარმატებას, რომელიც ძლიერთა მხარეზეა. სხვები ჩემს კვალს მიჰყვებიან. *(შემოდის მირბერი).*

მირბერი. ბატონო პოლკოვნიკო, ჰერბერტის ვაჟიშვილი, კრეისერის კაპიტანი...

შამბერი. რას უდგეხარ? სთხოვე. *(მირბერი გადის).*

მხეიძე. ახლავე კარგ სუფრას გაგიწყობთ.

გადის, შემოდის ელეგანტური ჭაბუკი ჰერბერტი. მიესალმებიან ერთმანეთს.

შამბერი. დიდად მახარებს შენი ნახვა, კაპიტანო. მომილოცავს დაჯილდოება.

პაული. მადლობელი ვარ. უმაგალითო ჭირ-ვარამი გადავიტანე, ისიც ზღვაზე. რამდენჯერ ვინატრე, ხმელეთზე დავღუპულიყავი-მეთქი. სიკვდილი და გაავებული, შავი მორევი ერთად აღებდნენ ხახას. კინაღამ ჩავცვივდით შიგ.

შამბერი. მე კი უსაქმოდ ვზივარ. აგერ ორი თვეა ობი მომეკიდა. თუმცა საფრთხე მუდამ გვემუქრება, ჩვენი სიცოცხლე ყოველ წუთს ბეწვზე ჰკიდია.

პაული. პარტიზანები, არა! მზაკვრული ომით სურთ დაგვამარცხონ. რუსებს ძალა არ ყოფნით.

შამბერი. მოხუცებს, ქალებსა და ბავშვებსაც კი ამხედრებენ. ახლახან მზეთუნახავი შევიპყარით, დღისით ჩემი მოკვლა მოინდომა.

შემოდის მხეიძე, შემოაქვს სასმელები, საჭმელი, ალაგებს მაგიდაზე.

პაული. ალბად, ლარისა გალკინა გყავს მხედველობაში.

შამბერი. დიახ.

პაული. სწორედ მის სანახავად ჩამოვედი. ოდესაში გავიცანი. მაშინ ვერაფერი გავაწყე.

შამბერი. *(ჭიქას მიუჯახუნებს,)* მომელოცოს გამარჯვება. მაღალი გემოვნება გაქვს *(მხეიძეს, რომელიც არაფერს იმჩნევს, დროდადრო შესცქერის).*

პაული. ახლა სამი დღე თავისუფალი მაქვს, ჩემმა კრეისერმა ღუზა ჩაუშვა, უნდა შეაკეთონ.

შამბერი. დიდი დრო გქონია, ლარისას აქ გამოვიძახებ. მირბერ, მირბერ, *(გამოჩნდება მირბერი)* ლარისა გალკინა მოიყვანეთ.

მირბერი. ახლავე. *(გადის).*

პაული. ეს ვინღაა?

შამბერი. მამასახლისია. ვგონებ, სანდოა.

პაული. რუსი და სანდო? სანამ გჭირდება, იმსახურე, გამოიყენე, შემდეგ... *(რევოლვერზე უჩვენებს. იცინიან).*

შამბერი. უცხო ადამიანი მგელია — თუ სუსტი ეჩვენები, მაგრამ მორჩილი იარაღია — თუ ძლიერად გცნო.

პაული — ბრიყვი და სუსტი ჯერ უნდა დაიმორჩილო, მერე გამოიყენო.

მხეიძე. *(პირფერობით)* ჭკვიანი და ძლიერი კი მოკავშირედ უნდა გავიხადოთ.

პაული. ცოტა ჭკუაც გქონია, ბიჭო, ქალებზე რა აზრისა ხარ?

მხეიძე. ყოველი ქალი ჩემთვის მხოლოდ ტკბობის საგანს წარმოადგენს.

შამბერი. გერმანელებისათვის მშვენიერი ქალები უფრო იოლად იშოვება, ვიდრე ოქრო.

პაული. ჩვენთვის ქალები იმით არიან კარგები, რომ მათი სილამაზის მეოხებით პროტექციაა გამეფებული.

შამბერი. გამდიდრების მისაღწევად ქალებთან ერთად ძალაუფლებაც საჭიროა.

პაული. ისინი ერთმანეთს ავსებენ. ჩვენს თვალში ტიტულები არარაობაა, სავარძელი წარმავალია. მარადიულ ბედნიერებას ოქრო გვანიჭებს. *(შემოყავთ ლარისა).*

შამბერი. ხელს არ შეგიშლით *(მხეიძე და იგი გადიან).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

პ ა უ ლ ი. *(ახლო მიდის, მიესალმება)* მიცანი, ლამაზო? გამარჯვებული გერმანელი დამარცხებულის როლში! ამაყობ?

ლ ა რ ი ს ა. პატიმარი ვარ. ესეც რომ არა, როსკიპი ნუ გგონივართ.

პ ა უ ლ ი. როცა პირველად შემომეფეთე, შენმა სილამაზემ დამატყვევა.

ლ ა რ ი ს ა. არაფერი მესმის *(ყურში თითებს იცობს)*.

პ ა უ ლ ი. ძალზე ლამაზი ხარ! *(მიუახლოვდა, ცდილობს აკოცოს)*.

ლ ა რ ი ს ა. არ მომეკაროთ.

პ ა უ ლ ი. *(საათზე დაიხედავს, დაუყვავებს)* ნუ, ნუ ხარ აგრე ბრაზიანი. სხვა ჩემს ადგილას...

ლ ა რ ი ს ა. ვერავინ ვერაფერს დამაკლებს.

პ ა უ ლ ი. მზეთუნახავო, ნუთუ არ გესმის, რომ საალერსოდა ხარ გაჩენილი.

ლ ა რ ი ს ა. გთხოვთ, თავი დამანებოთ.

პ ა უ ლ ი. მოთმინებიდან არ გამომიყვანო. არც ტაქტი გაქვს, არც ჭკუა *(უყვირის)* ჩემთან უნდა იცხოვრო! მორჩა და გათავდა *(იშიშვლებს რევოლვერს)*.

ლ ა რ ი ს ა. *(შეშინდა, კუთხეში მიიკვა)* არ მომეკაროთ. სისხლისღვრა და ნგრევა არ გეყოთ? გსურთ ჩვენი სულიც დაიმორჩილოთ. ჩვარივით ფეხს ნუ მადგამთ. ალვირახსნილობა ბოროტებაა. ნადირივით გიელავთ თვალები. მომკალით, აჰა, მესროლეთ, ძალით ვერაფერს გახდებით, ვიკივლებ.

პ ა უ ლ ი. *(იცინის, რევოლვერს შეინახავს)* ო, რა კარგი ყოფილხარ. სინდისის ერთგული! ბედნიერი იქნება შენი ქმარი. გამოგცადე. მშობლებს ვესაუბრე შენზე, მიყვარს-მეთქი. ახლავე ოჯახში წაგიყვან.

ლ ა რ ი ს ა. ჩემს გულს ვერაფერი განაწყობს თქვენდა პატივსაცემად. ნუ ირჯებით.

პ ა უ ლ ი. ცოლად შეგირთავ, ბედნიერად გაცხოვრებ. სამი დღის შემდეგ კრეისერით გავისეირნოთ კავკასიისაკენ.

ლ ა რ ი ს ა. სხვა მიყვარს. ასეც რომ არ იყოს, არაფერ სასიკეთოს არ დაგპირდებოდით ჩემ სამშობლოზე აღზევებულს.

პ ა უ ლ ი. გველის წიწილო, მართალი უთქვამს ფიურერს. ხალხი და ქალი შიშის ქვეშ უნდა ამყოფოო. *(ძივარდება, ლარისა რაფაზე ასკუპდება, ფანჯარას გააღებს, კივის)*.

ლ ა რ ი ს ა. ახლოს არ მომეკაროთ! გადავხტები!

შემოდიან შამბერი, მირბერი და მხეიძე.

პ ა უ ლ ი. დილეგში გამოამწყვდიეთ ეს გაუთლელი, სანამ ჭკუას ისწავლიდეს.

შ ა მ ბ ე რ ი. ყველაფერს შევასრულებთ, კაპიტანო. *(ლარისას ხელებს უკრავენ, გაჰყავთ)*.

პ ა უ ლ ი. ზეცამ სიცოცხლე აჩუქა, მე კი წავართმევ მაგ უმადურს.

შ ა მ ბ ე რ ი. გთხოვ, დამშვიდდი. შენს ფრჩხილადაც არ ღირს.*(თეფშს მოიტანს)* ჯობს გავერთოთ *(სვამენ)*.

პ ა უ ლ ი. ზედაც არ შემოუხედავს.

შ ა მ ბ ე რ ი. *(კიდევ უჯახუნებს, სვამენ)* არაფერია, სიკვდილი თავს რომ წაადგება, მოიხახიებს ყოველივეს, მუხლებში ჩაგივარდება.

პ ა უ ლ ი. *(ივსებს ჭიქას, სვამს)* გასასრესნი არიან ესენი. არავითარი დახდომა, დედაბუდიახად უნდა გავწყვიტოთ ეს გაუთლელები.

შ ა მ ბ ე რ ი. აბა როგორ. ასეც იქნება, ჯერ მათი არმია უნდა მოვსპოთ. *(კანტიკუნტად მოისმის სროლის ხმა, ხმაური ახლოვდება, ფახჯარაში იცქირებიან)* გარბის ნამდვილად პარტიზანია, ალბათ დავალებით შემოგზავნეს სოფელში, ვიღაცას დაეძებს.

პ ა უ ლ ი. ჩვენები კი დაეჭვდნენ, არა?!

შ ა მ ბ ე რ ი. დიახ. ესროლეს, მგონი კოჭლობს. სად გაგვექცევა. თუმცა ჭაობებს თუ მიაღწია...

პ ა უ ლ ი. აქ არა ვართ *(იშიშვლებენ რევოლვერებს, ისვრიან. ხითხითებენ)*. დაეცა, ჩემი ტყვია მოხვდა თუ შენი? მიცვივდნენ.

შემოდის მირბერი.

შ ა მ ბ ე რ ი. ყველაფერი ვნახეთ. შეაგდეთ დილეგში. გონს რომ მოვა, დავკითხავ.

მ ი რ ბ ე რ ი . არმიის გენერალი ჰერბერტი. მისაღებში შეუყოვნდა. იაკობ გალკინს ესაუბრება.

შამბერი და პაული მიდიან, კარს აღებენ. შემოდიან ჰერბერტი და გალკინი.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. *(აღელვებულია, ათვალიერებს ყველას, ჯდება)* ჰო, თქვი, დასტაქარო, რას მთხოვ?

გ ა ლ კ ი ნ ი. დიდად ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან შეხვედრის შემთხვევა მომეცა. მამა ბრძანდებით, გაიგებთ ჩემს გულისტკივილს.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. მოგეხსენება, იმია, ყელამდე საქმეებში ვარ ჩაფლული. მოკლედ ილაპარაკე.

გ ა ლ კ ი ნ ი. *(შეურაცხყოფილად გრძნობს თავს)* ბატონო გენერალო, საქმე ეხება ჩემი ოჯახის ღირსებას, ჩემი ქალიშვილის ლარისას ღირსებას... ამიტომ გაწუხებთ.

პ ა უ ლ ი. *(თავისთვის)* რა რეგვენი ყოფილა. ვის ახსოვს მისი ოჯახის ღირსება.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. *(გულცივად)* მერე ჩემგან რაღა გსურს, რას მთხოვ?

გ ა ლ კ ი ნ ი. გავიგე, სამი დღის წინ შეგიპყრიათ. რა უნდა დაეშავებინა ისეთი! სადაა? გთხოვთ უბრძანოთ გაანთავისუფლონ ჩემი გოგო.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. მე რა ვიცი, ვის ჰყავს შენი ქალიშვილი? გამიგე, წადი.

გ ა ლ კ ი ნ ი. დასტაქრის დანას ყოველთვის სიკეთე უთესია, სიცოცხლე უხარებია, სიკვდილის ცელად ნუ გამახდევინებთ მას, გემუდარებით *(უსწორო ნაბიჯებით გადის)*.

შემოდის მირბერი, წერილს გადასცემს პაულ ჰერბერტს. პაული კითხულობს წერილს და კარგ გუნებაზე დგება).

პ ა უ ლ ი. ჩვენ გამარჯვებულები გახლავართ და ვსარგებლობთ ყველა უფლებით. მადლიერი უნდა იყოს, რომ მისი ქალიშვილის ალერსს ვკადრულობ. მამაჩემო, რატომ მოუთმინე ამდენი, ,,სიკვდილის ცელით" დაგვემუქრა კიდეც.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. შვილო, ის გოგო შენთანაა?! არ მომწონს! სრულ გამარჯვებამდე ბევრი წყალი ჩაივლის. ცუდი ცნობებია სტალინგრადიდან *(ჩაფიქრდება)*. ბევრჯერ გითხარი, სიფრთხილეა საჭირო-მეთქი. გალკინი განთქმული ქირურგია. მისი გული უნდა მოვიგოთ, რათა დასტაქარი გამოვიყენოთ. ფიურერმა სპეციალურად მიგვითითა ამაზე.

პ ა უ ლ ი. მამაჩემო, როცა ლარისას თვალი მოვკარი, ყველაფერი დამავიწყდა.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. პაულ, როგორ მიბედავ ამას.

პ ა უ ლ ი. ჰმ, *(იცინის, თვალი თვალში გაუყარა მამას)* მოიგონე პარიზი! სამი წლის წინათ როგორ იქცეოდი. ჭაბუკივით აცუნდრუკდი, საბალეტო სკოლის მოსწავლეებს ეკეკლუცებოდი! ყველაფერი არ მათქმევინო. სანდო რომ იყო, გაგაცნობდი ლარისას.

ჰ ე რ ბ ე რ ტ ი. *(გუნება შეეცვალა, გახალისდა)* ეს მითხარი, საწადელს მიაღწიე?

პ ა უ ლ ი. არაფერი გამოვიდა.

ჰერბერტი. უსუსური!

პაული. ცდები, მამაჩემო. ახლახან წერილი გამომიგზავნა. ნანობს, შევცდიო, პატიებას მთხოვს, ერთგულების ნიშნად ზღვაშიც გამოგყვებიო.

ჰერბერტი. შენ ხომ ნოვოროსიისკისკენ გიწევს გამგზავრება. მაგ ქალმა ზღვაში ხიფათს არ შეგყაროს. *(მირბერს)* მიჩვენეთ ის ქალი, მოიყვანეთ.

მირბერი. ახლავე *(გადის)*.

*შემოდის ლარისა, კაბის კალთა უჭირავს.*

პაული. ეს რა მოგსვლია. ვინ შემოგახია.

ლარისა. მე თვითონ, დილეგში რუსი ჭაბუკი შემოაგდეს, მძიმედ დაჭრილი, შევუხვიე, ჩემს მკლავზე განუტევა სული.

პაული. რა გატირებს!.. მაშასადამე, მომყვები.

ლარისა. ბარათმა გამცნოთ ჩემი სურვილი?

ჰერბერტი. მამაშენი დაგეძებს. მთხოვა შენი თავი. გამითავისუფლებიხარ, შინ წადი.

პაული. სამი დღის შემდეგ შემოგივლი და... *(ლარისა უსიტყვოდ გადის)*.

ჰერბერტი. *(შამბერს უჩვენებს გაზეთს)* რუსებს ხმა გაუვრცელებიათ, თითქოს პარტიზანებმა სასიკვდილოდ დაგჭრეს. არ დავიჯერე, ამიტომ მოველ. მადლობა ღმერთს, უსაფუძვლო გამოდგა ჩემი შიში.

შარბერი. ცდა კი იყო, ბატონო გენერალო. იღბლად ორეული გავიჩინე, იგი დაჭრეს. აი ის — მამასახლისი.

ჰერბერტი. ყოჩაღ, კარგი ოინია. *(გაზეთს აფრიალებს)* თავს იტყუებენ ისინი. მაინც ფრთხილად იყავით *(გადის)*.

## სურათი IV

*სოფლის გზაზე დგას ოთხთვალა. კოფოზე სხედან ლარისა და ნატაშა. ცივი მთვარიანი ღამეა, ირგვლივ ტრამალებია. პარტიზანები დაფუსფუსებენ, თივას ყრიან ოთხთვალაში, კოფოში რაღაც ჩაალაგეს.*

ლარისა. რას გვიქადის ეს ღამე?

ნატაშა. საკმაო დრო ჰქონდათ ჩვენი რაზმის მეთაურებს მოფიქრებისათვის.

ლარისა. ასეთი მუხანათი მტერი, თანაც ძლიერი და დაუნდობელი, ვის ან როდის ჰყოლია დედამიწაზე.

ნატაშა. შიშკოვი არაფერში შეცდება. ხაფანგი დადგმული აქვსო.

ლარისა. შეტევის წინ ფსიქოლოგიური ბრძოლის ჭკვიანურად წარმართვა შიშკოვზე უკეთ ვის შეუძლია!

ნატაშა. მართლაც, არჩილ მხეიძეს საოცარი შორსმჭვრეტელობა აქვს, მოხერხებაც. ვუთვალთვალებდი. ნამდვილი ჯამბაზია! არხეინად გრძნობს თავს ბეწვის ხიდზე.

ლარისა. ცეცხლთან თამაშობს და წამწამებსაც კი არ ახამხამებს.

ნატაშა. სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დგას. შენი სიყვარული ალომგულებს. მითხრა, ხანდახან ჩიხში ვექცევი, გამოსავალი არ ჩანს, წარმომიდგება ლარისა და უმალ ფრთები მესხმება, სიცოცხლის ხალისით ვივსები, დახლართული ლაბირინთიდან მშვიდობით გამოვდივარო.

ლარისა. რა საჭირო იყო ჩვენი სიყვარულის გამოცდა! თუმცა რას ვამბობ! ომი ხომ მთელი ხალხის გამოცდაა. აი თუნდაც ის ბიჭუნა. ვასილი დილეგში შემოაგდეს ცოცხალ-მკვდარი. უწყალოდ სცემეს, მაგრამ ვერ გამოსტეხეს. მე რომ არა, ჯავრი ჩაჰყვებოდა საფლავში: საიდუმლო დავალება გამანდო[illegible] ღიმილი მოერია მომაკვდავს.

ნატაშა. რაო?

ლარისა. ხარ სანდო? *(კოცნიან ერთმანეთს)* ჯერ ერთი, არის განკარგულება დღეს განადგურდეს საწყობები. ეს საჭიროებისამებრ გადავეცი. მეორე — კრეისერზე, რომლის კაპიტანს ალერსზე თანხმობა მივეცი, ცეცხლფარეშად ვიღაც ცალფეხა პარტიზანი მოწყობილა: იგი ბომბებს ითხოვს. ეს დავალება მე უნდა შევასრულო. იქნებ... არც დავბრუნდე.

ნატაშა. აგრე ნუ ამბობ, დაო.

ლარისა. ძვირფასო დაიკო, მამიკოს, ძმას, არჩილსაც გადაეცი, რომ ჩემთვის უდიადესი წუთები დგება. დაე, გული საამოდ გიძგერდეთ. ჩემს ადგილას თქვენც ასევე მოიქცეოდით.

ნატაშა. რატომ მიყვები პაულ ჰერბერტს?

ლარისა. თუ გამომიგლოვეთ, აჩქარებულხართ. არა, ძვირფასებო! მუხანათს კარგს არაფერს შევყრი. დილეგში ვიყავი, ნაცემი, ნაწამები, სასიკვდილოდ დაჭრილი რუსი ჭაბუკი შემოაგდეს. სულთმობრძავი უგრძნობლად იყო. ცნობაზე მოვიყვანე. საიდუმლო გამანდო. პარტიზანი აღმოჩნდა. სიცოცხლე არ ენანებოდა, გულს ის სწვავდა, რომ დავალება ვერ შეასრულა.

ნატაშა. ამის მერე მიწერე ბარათი, არა?!

ლარისა. პარტიზანებს გადაუწყვეტიათ კრეისერისა და სხვა ხომალდების ჩაძირვა. ძისამართი და პაროლი ვიცი. მცირეწონიან, მაგრამ ტიტანური ძალის ნაღმებს გამატანენ... თვით მე უნდა ვიყო ხომალდზე... ხომ ხედავთ, რა უდიადესი წუთები ახლოვდება. ვიცი, გულით დამლოცავს მამაჩემი! დავალების შესრულებამდე ძალიან ღელავს კაცი, მაგრამ გემზე ნაღმს თავის ადგილს როცა მიუჩენ, დამშვიდდებიო... მადლობა, ძვირფასო მამიკო! მე შენი გული დამმარხავს და არასოდეს დამკარგავს... *(ტირიან ეხუტებიან ერთმანეთს)*.

ნატაშა. არც მე მომელის კარგი დღე.

ლარისა. უჩვეულოდ მორთულხარ. რატომ?

ნატაშა. მოვემზადე უძნელესი როლის შესასრულებლად. ფუქსავატი ქალის როლი უნდა გავითამაშო. სცენა ოდესამდე გადაჭიმული დიდი სივრცეა. დარბაზი კი ჰმ, იგი სავსე იქნება მაყურებლით! დღეს შემომყურებს ჩემი ხალხი, მამაცი პარტიზანები მოელიან მსახიობის ოსტატობას...

ლარისა. მანქანა პოლკოვნიკ შამბერისაა?

ნატაშა. მისია. ვემზადები, ჩემო დაო. ნახვამდის!

ლარისა. მშვიდობით *(კოცნიან ერთმანეთს)* მივდივარ. ჭკუით იყავ *(გადის, შემოდის შამბერი)*.

შამბერი. ძვირფასო! დროს ნუ ვკარგავთ, გავეშუროთ.

ნატაშა. ახლავე, ბატონო *(გამოჩნდება მოხუცი, ცხენების მოსართავს ალაგებს ოთხთვალასთან)*.

შამბერი. თორმეტია. სამ საათში ქალაქში ვიქნებით.

ნატაშა. *(თვალები გამომწვევად შეანათა, ტანი კეკლუცად შეათამაშა, ღრმად ამოისუნთქა, ყელი მოიღერა, თავი დახარა. შამბერმა ნიკაპში ხელი მოავლო, თავი აუწია)* გთხოვთ, ახლა ნუ... გვნახავს.

შამბერი. მესმის, მესმის! ალერსი გწყურია, მაგრამ ხელს გვიშლიან. *(მოხუცს)*. ჰეი, შენ, იჩქარე, როგორ მძინარესავით დაბოტებ!

მოხუცი. *(ხრინწიანი ხმით)* ოთხმოცი წლის სიმძიმე დიდ ტვირთად მაწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შამბერი. არავითარი თავის მართლება. როგორ მიბედავ ენის შებრუნებას!

ნატაშა. *(ნაზად)* ბატონო პოლკოვნიკო! ის ხომ ცხენებს ამზადებს.

შამბერი. ოთხთვალაში თივა ჩაულაგებია, ჩავსხდეთ. *(წელზე ხელებს მოხვევს და ნატაშას ოთხთვალაში სვამს)* ჩვენ ვისაუბროთ *(თვითონაც მოეწყობა თივაზე)*.

ნატაშა. იქით მიიწით, შეურაცხყოფას ნუ მაყენებთ.

შამბერი. რას შვრები, ბერიკაცო. ცოცხალმკვდარივით დახოხავ, *(ადგა, კოფოზე მოეწყო)* ეს კოფოა, განა? ამოდენა კოფო არ მინახავს. რა გაქვს შიგ, მიხრწნილო!

მოხუცი. *(შეკრთა, მობრუნდა და ახლოს მივიდა)* რაღაც ძველმანები მაქვს ჩაყრილი.

შამბერი. ამოდენა რად არის?

მოხუცი. შიგ ლეიბ-საბანი მაქვს; როცა შემცივდება, ვწვები და ვთბები.

შამბერი. კი მაგრამ, ამოდენა ბოქლომით, რომ დაგიკეტია? ეს ხომ საეჭვოა. მომეცი გასაღები *(რევოლვერი ამოიღო)*.

ნატაშა. ბატონო პოლკოვნიკო! ამ მომაკვდავ მოხუცს გული გაუსკდება შიშისაგან *(გვერდით მოუჯდება, თვალებს შეანათებს, ეკეკლუცება)*.

შამბერი — აქ რაღაც საეჭვოა. მომეცი გასაღები-მეთქი *(უყვირის)*.

მოხუცი. *(ადის კოფოზე, ჯდება შამბერის გვერდით, ჯიბიდან გასაღები ამოაქვს)*. ინებეთ!

შამბერი. *(წვალობს, ვერ აღებს)* მოდი, მიხრწნილო! გააღე. რამ დაგაყრუა.

მოხუცი. დაჟანგულია, არ იღება.

შამბერი. *სიბრაზისაგან თავში ხელს წაჰკრავს მოხუცს, ნატაშა ცდილობს მათ შუა მოწყობას, მაგრამ შამბერი უბიძგებს, არ უშვებს)* მოგკლავ ახლავე გააღე.

მოხუცი. *(ხელს მოიქნევს, შუბლში ძლიერად დაარტყამს. შამბერი ოთხთვალაში ვარდება თავგასისხლიანებული)* დარტყმა ასე უნდა!

ნატაშა. *(შეჰკივლებს)* უიმე. *(მოხუცი ნიღაბს იხსნის)* ოჰ, შიშკოვი! *(გაშეშებულია)*.

შიშკოვი. დიახ! *(ნელა დაუსტვინა, შემოდის რამდენიმე პარტიზანი)* შეჰკარით, მისი სიცოცხლე გვჭირდება; გერმანელ დამპყრობთ ბევრი ემსახურა. გონს მოეგოს! ამიერიდან ჩვენ გაგვიწიოს სამსახური.

შამბერი. ეს არასოდეს არ გეღირსებათ.

შიშკოვი. კიდევ იღრინები, ხაფანგში გამომწყვდეულო მხეცო? ერთ საათში შენი დივიზიის ხსენებაც არ იქნება.

შამბერი. პირიქით მოხდება!

შიშკოვი. გვიმადლოდე, რომ დროზე ვიზრუნეთ შენ შესაპყრობად და გადასარჩენად.

შამბერი. ნაპოლეონისდროინდელი ოინებით გსურთ დიდი გერმანიის დამარცხება?

შიშკოვი. ბონაპარტე ლომს რომ შევადაროთ, შენი ფიურერი კატის კნუტად გამოჩნდება. *(მოისმის აფეთქების ხმა, ცა და არემარე განათდა)* შეხედე, თქვენი საწყობები რა დღეშია!

## მოქმედება III

### სურათი V

კრეიცერი. *(გეიდეკისაგან საქმეებს იბარებს)* მაშასადამე, სერიოზული გამოცანაა.

გეიდეკი. დიახ, პოლკოვნიკო. მესამე თვეა თავს ვიტეხ, მაგრამ...

კრეიცერი. არაფერი გამოდის?

გეიდეკი. გენერალი შამბერი, ჩემი აზრით, ფსიქიურადაა დაავადებული. თავისიანებს მუსრს ავლებენ მისი ბრძანების შემსრულებელი არტილერისტები, ცეცხლის ბათქები ჩვენს ნაწილებს თავზე ატყდება.

კრეიცერი. ეს რამდენჯერ გითქვამს, ახალი რამ მითხარი.

გეიდეკი. იგი ათი თვე ტყვეობაში გახლდათ.

კრეიცერი. მაგრამ მამაცურად მოიქცა, გამოექცა რუსებსა და სიკვდილს.

გეიდეკი. გამოქცევის შემდეგ ველარ ცნობენ. გარეგნულად შამბერია, მაგრამ შინაგანად შეცვლილია.

კრეიცერი. ამით იმის თქმა ხომ არ გსურს, რომ რუსებმა თავის მხარეზე დაიყოლიეს.

გეიდეკი. თქვენ ხომ სპეციალურად მოგავლინეს ბერლინიდან, გონებამახვილი, საქმეში ჩახედული მზვერავი. მჯერა, ფრჩხილებს გახსნით.

კრეიცერი. უკვე ათი დღეა. ჩამოვედი აქ. ვერ მოიცალა ჩემთვის. გუშინ პირველად ვნახე შამბერი, ისიც შორიდან. მისი ბიოგრაფია კარგად მაქვს შესწავლილი. თუ შეცვლილი გენერალია, როგორც შენ ცდილობ დაამტკიცო, აუცილებლად გაებმება მახეში. ეს მითხარი — გარეგნობა ხომ მთლიანად ემთხვევა?

გეიდეკი. დიახ, პოლკოვნიკო. სიმაღლე, ახოვნება, თმისა და კანის ფერი, ხმა, დიქცია, სიანჩხლე — ყოველივე ნაცნობია. მარჯვენა ლოყაზე ჭრილობას ვაკვირდები — ზუსტად იგივეა. მარცხენა ხელზე სამი თითი აკლდა და აკლია. თვალები ცისფერი ჰქონდა. მესამე თვეა, რაც ტყვეობიდან გამოიქცა. სათვალეებს არ იცილებს, წინათ არ ატარებდა. ეს მაეჭვებს. მაკვირვებს აგრეთვე, რომ წვერი მოუშვა, ნიკაპს ქვემოთ ხალი ჰქონდა, რომელიც ახლა არ ჩანს.

კრეიცერი. მაშასადამე, მის გარეგნობაში ეჭვი შეგაქვს, თვალების ფერი და ხალი რაღაცას გაფიქრებინებს.

გეიდეკი. დიახ, ასეა.

კრეიცერი. *(ზეზე წამოდგა, ჩაფიქრებულმა თავი ჩაჰკიდა, გაიარ-გამოიარა)* არა! ვთქვათ, ეს კაცი ნამდვილად შეცვლილი შამბერია. ჭრილობა სახეზე ასე ზუსტად გაუკეთეს, ხელზე თითები მოკვეთეს, მაშინ სხვა წვრილმან მსგავსებასაც არ დატოვებდნენ უყურადღებოდ. *(პაუზა)* ჰო, ახლახან დამირეკა, გინახულებო. შენ წადი, ხვალ გაგაცილებ. ნახვამდის. *(გეიდეკი გადის, შემოდის შამბერი)*.

შამბერი. გეთაყვა, ვიცი რისთვისაც მოგავლინეს. ბევრი მსმენია შენი გამჭრიახობისა და მაღალი პროფესიონალიზმის შესახებ. აურაცხელი საქმე გელოდება. ამ ქვეყანაში თითქოს ქვამ და მიწამ, ტყემ თუ ველმა ყურები გამოისხეს. ყოველ ნაბიჯზე ჯაშუშობაა. გამცემლები, ჩანს, შიგნითაც გვყავს. ვინაა საეჭვო და ვინ არა, ღმერთმა უწყის. ისე ცუდად წავიდა საქმე, რომ ჩემზეც კი იფიქრეს. ერთი საჩივარი დაუწერიათ. აქაოდა, გასარკვევიაო მისი ვინაობა. ცილისწამებაა. ამ გზით რას დამაკლებენ. დამსახურება ცოტა როდი მაქვს, გენერალურ შტაბში მიცნობენ, პირადად ჰიტლერისაგან მაქვს მიღებული ჯილდო „დიუნკერკის ოპერაციისათვის".

კრეიცერი. რა გაეწყობა. არ მსურდა ფრონტზე გამგზავრება, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ბრძანება სამხედრო პირისათვის. ეს კანონია, რომელიც პირად თავისუფლებას ეწინააღმდეგება. წვრთნისაგან განაწამები, დაჭანცული ცხენი პირში უმალვე იდებს აღვირს — ასე ვართ ჩვენც. მოველ თქვენს ნაწილში სრული რწმენით, რომ მექნება მხარდაჭერა, მიგულეთ ერთგულ ჯარისკაცად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*(საუბრის დროს კრეიცერი ცდილობს ახლო მივიდეს, თვალებში ჩახედოს. შამბერი მიუხვდა. სათვალეები მოიხსნა, ცხვირსახოცით წმენდს, თვალი თვალში გაუყარა, ისევ მოირგო სათვალეები.*

შ ა მ ბ ე რ ი. სრული იმედი გქონდეს, მომენდე ყველაფერში.

კ რ ე ი ც ე რ ი. *(თავისთვის)* ვნახე. ნამდვილად ცისფერი გუგებია. განცვიფრებული ვარ. ალბათ, გეიდეკს სამ თვეს იმიტომ უმალავდა თვალებს, რომ ჩემთან პირველ შეხვედრისთანვე გაექარწყლებინა მისი ეჭვები. ახლა ნიკაპს ქვემოთ ხალი თუ აქვს, როგორ შევამოწმო? *(მიუბრუნდება შამბერს)*

კ რ ე ი ც ე რ ი. წვერი და ულვაში სამხედრო პირისათვის ზედმეტი ბარგიაო, უთქვამს ფიურერს, მოვლას საჭიროებს და დროს გვართმევსო.

შ ა მ ბ ე რ ი. რა უნდა მის მოცილებას, თუმცა არც მისი გაზრდა შემიტყვია. აქ ხალი მაზის. დიაცი ხომ არა ვარ. ვცდილობ მის შენიღბვას. რადგან არ მოგწონს ჩემი წვერი, რადგან ფიურერის აზრის მოშველიებით ჭკუა მასწავლე — მზად ვარ ხვალვე მოვიპარსო.

*რეკავს ტელეფონის ზარი.*

კ რ ე ი ც ე რ ი. ალო, გისმენთ. დიახ, აქ გახლავთ, თქვენ გთხოვენ. *(შამბერი იღებს ყურმილს, საუბრობს, კრეიცერი კი თავის თავს ესაუბრება)* საგონებელში ჩამაგდო. გარეგნობა მთლიანად ემთხვევა. ორი რამ დამრჩენია. აღმოვაჩინე გენერლის ყოფილი ადიუტანტი ვიღაც მირბერი. დაჭრილა, ზურგშია, მაგრამ მოვითხოვე, დღეს-ხვალ აქ იქნება. გარდა ამისა, თითქმის ყველა საინტერესო ეპიზოდი, რაც მას გარდახდა, ჩემთვის ცნობილია. ფსიქოლოგიურ იერიშს მივიტან, თუ შეცვლილი გენერალია, რამეში ფეხს მოიტეხს.

შ ა მ ბ ე რ ი. *(დაამთავრა საუბარი)* რა დაწყევლილი ქვეყანაა, ერთი დასვენება რად ღირს ჩემთვის.

კ რ ე ი ც ე რ ი. კვირადღეა. საღამოვდება. ალბათ, რუს პარტიზანებსაც მოსწყინდათ ნიადაგ საფრთხეში თავის ჩაგდება. იქნებ დაგვასვენონ დღეს *(კარადიდან გამოაქვს სასმელები, ძეხვი, ჭიქებს ავსებს)*.

შ ა მ ბ ე რ ი. ყველაფერი გქონია. ო, კარგია, ჯერ არ მივახშმია *(გადაკრეს თითო ჭიქა, ვახშმობენ)*.

კ რ ე ი ც ე რ ი. წინადადება მაქვს გამოვეთიშოთ ამ საძულველ, საშიშ ატმოსფეროს. მივეცეთ ჩვენი სიჭაბუკისდროინდელ საინტერესო მოგონებებს და, ეს ჯოჯოხეთი დავიწყებული იქნება. არქივში ამოვიკითხე ჭაბუკობისას სტრასბურგის ციხის კარები როგორც პატიმარს შეგიღია. რისთვის? რა მოხდა? მოსაწყენი ისტორია არ იქნება.

შ ე მ ბ ე რ ი. ამხანაგი შემომაკვდა, უფრო სწორად, მოვკალი, დანით გულღვიძლი დავაჭერი.

კ რ ე ი ც ე რ ი. ო, ეს არ ვიცოდი *(თვალთმაქცურად ხარხარებს)*. რისთვის რა დაგიშავა?

შ ა მ ბ ე რ ი. გრძელი ისტორიაა, გადამავიწყდა კიდეც *(კრეიცერი რომით ავსებს ჭიქებს, მიუჯახუნა, სურს დაალევინოს)*.

კ რ ე ი ც ე რ ი. შენი წერა შეიქმნა, მაშასადამე, ვინ იყო? რა დაგიშავა? *(შესვეს სასმელი)*.

შ ა მ ბ ე რ ი. *(მშვიდად)* ცხონებული ოტო გრენვილი. წესიერად აღზრდილი, ჭკვიანი და განათლებული ჭაბუკი იყო. ბრაზს მგვრიდა ეს ფაქტი, დაიჩაგრა ჩემი სიამაყე სკოლაში, განსაკუთრებით კი სტუდენტობის დროს. უნივერსიტეტში მან დაგვჩრდილა სწავლაში, ზნეობრივი სიწმინდითაც ბადალი არ ჰყავდა.

კ რ ე ი ც ე რ ი. საინტერესოა! მერე, მერე!

შ ა მ ბ ე რ ი. ერთ მშვენიერ საღამოს ამევსო მოთმინების ფიალა. ვხედავ, შინ მიაცილებს ულამაზეს გრეთჰენ კრაუვიცს. სისხლი თავში ამივარდა. თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ვეკურკურებოდი „უნივერსიტეტის ქალღმერთს“.

კ რ ე ი ც ე რ ი. ვგრძნობ კვანძი იკვრება... სად ცხოვრობდა ქალიშვილი? მისი მშობლების საქმიანობა თუ გახსოვს?

შ ა მ ბ ე რ ი. რეინშტრას, თოთხმეტი, პროფესორის ერთადერთი და საამაყო შვილი გახლდათ. ვხედავ ძალზე გაგიტაცა ამ ამბავმა. ის კია, მაკვირვებ შეკითხვებით, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭება.

კ რ ე ი ც ე რ ი. *(კიდევ აავსო ჭიქები, ცქმუტავს)* განაგრძეთ, გთხოვთ, ნამდვილად გავერთე, გამიტაცა ამბავმა.

შ ა მ ბ ე რ ი. მახსოვს, მაშინ წარმოვიდგინე უშესანიშნავესი წყვილის ბედნიერება. შურმა გამახელა, ამამხედრა, ხელი ჯიბის დანას დავავლე. სისხლამღვრეული და გონებადაკარგული ვინ იცის დღისით, მზისით რას მოვიმოქმედებდი, რომ ბიძაშვილს არ გავეჩერებინე, შემანჯღრია, გონს მოდიო.

კ რ ე ი ც ე რ ი. უხსნიხარ.

შ ა მ ბ ე რ ი. უზომოდ შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. გულს მიღრღნიდა ის აზრი, რომ გრეთჰენისა და ოტოს დამეგობრება აუცილებლად გადაიზრდებოდა სიყვარულში.

კ რ ე ი ც ე რ ი. თუ ასეა...

შ ა მ ბ ე რ ი. ასე მეჩვენებოდა. ტანჯვისაგან მხოლოდ შურისძიება გამანთავისუფლებდა.

კ რ ე ი ც ე რ ი. როდის მოიყვანე განაჩენი სისრულეში?

შ ა მ ბ ე რ ი. ათას ცხრას ოცდა თექვსმეტი წლის ოცდარვა ივნისს *(პაუზა)* კიდევ ისეთი კითხვა დამისვი, თითქოსდა გსურს რაიმე შეცდომაზე დამიჭირო.

კ რ ე ი ც ე რ ი. როგორ გეკადრებათ!

შ ა მ ბ ე რ ი. ხაფანგის დადგმის დრო მეორე კურსის დამთავრებას დავამთხვიე. შინ საღამო გავამართვინე მშობლებს, სტუმრებმა თავი მოიყარეს. ისინიც მოვიდნენ.

კ რ ე ი ც ე რ ი. რომელ საათზე?

შ ა მ ბ ე რ ი. ზუსტად ცხრაზე. კვლავ შემაწყვეტინე საუბარი უმნიშვნელო კითხვით. დაკითხვაზე ერთხელ უკვე გახლდი. საეჭვოდ იქცევი.

კ რ ე ი ც ე რ ი. *(შეცბა თითქოს)* ბოდიშს ვიხდი.

შ ა მ ბ ე რ ი. ჩინებული სუფრა მქონდა. მიეცნენ ლხენას. საღამოს ულამაზეს ასულად კრაუვიცის ქალიშვილი ვაღიარეთ. მჭევრმეტყველებით ოტომ დაგვჩრდილა.

კ რ ე ი ც ე რ ი. *(ჭიქას იღებს)* კიდევ თითო დავლიოთ. თქვენი სადღეგრძელო იყოს, წარმატებას გისურვებთ. *(გადაკრეს)* ახლა კი განაგრძეთ.

შ ა მ ბ ე რ ი. ჩასაფრებული ვიყავი. შამპანურს, რომს, კონიაკს უხვად იმ მაგიდისაკენ ვგზავნიდი, სადაც იგი იჯდა. სხვებზე მეტს სვამდა, მიუხედავად ამისა, თავს ჩინებულად გრძნობდა.

*შემოდის შტაბის უფროსი გიუნტერი*

გ ი უ ნ ტ ე რ ი. ბატონო გენერალო, კვლავ ის ლამაზი ქალი გამოჩნდა.

შ ა მ ბ ე რ ი. ისევ? საეჭვოა. შეიპყარით და ახლავე აქ მომგვარეთ.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. არის!

*გიუნტერი გარბის*

შ ა მ ბ ე რ ი. რა დაწყევლილი დროა! ერთად დავკითხოთ ის ქალი.

კ რ ე ი ც ე რ ი. განაგრძეთ, გთხოვთ. რომელ საათზე დაიშალნენ?

შ ა მ ბ ე რ ი. ზუსტად ორის თხუთმეტზე... არა ძმაო, ვგონებ მეორედ აწარმოებ გამოძიებას. ამის უფლებას არ მოგცემ *(გაბრაზებით)* თუ გეჩქარება, გადავდოთ შემდევისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრეიცერი. არავითარ შემთხვევაში.

*მოისმის ხმაური, გიუნტერს შემოყავს ლარისა*

შამბერი. გამარჯობა, ლამაზო (*მკვახე, დამცინავი ტონით*). გიუნტერ, წერეთ, დაკითხვის ოქმი შეადგინეთ.

ლარისა. (*თამამად, კეკლუცობს*) სალამი, ბატონო გენერალო.

შამბერი. ეს გესტაპოს პოლკოვნიკია. თუ ცოდვები გაქვს, ახლავე გამოგტეხავს.

ლარისა. რაში მიმიძღვის ბრალი? რად დამაკავეთ?

კრეიცერი. რა საქმიანობას ეწევი?

ლარისა. ქალ-ვაჟის დედა ვარ. ვზრდი.

კრეიცერი. ქმარი სად არის?

ლარისა. დაიღუპა ომში.

შამბერი. ვინ იყო შენი ქმარი?

ლარისა. თქვენსავით სამხედრო. ომამდე ოდესაში ერთად ვსწავლობდით. შევიყვარეთ ერთმანეთი.

კრეიცერი. გვარს გეკითხებიან (*უყვირის*).

ლარისა. მხეიძე, არჩილ მხეიძე.

შამბერი. ეროვნება?

ლარისა. ქართველი.

შამბერი. ქართველი? აჰა, გამიგონია საქართველოს მაღალ მთებსა და ქოხმახებში შეხიზნულია ქვეყანა. ხა, ხა, ხა (*დამცინავად ხარხარებს*).

ლარისა. მკვდარს რად დასცინით.

კრეიცერი. რა საქმიანობას ეწევი?

ლარისა. ერთხელ გიპასუხეთ.

გიუნტერი. (*უყვირის*) გამომწვევად იქცევი! სად გგონია შენი თავი?

ლარისა. რას მერჩით უმწეო არსებას? რა დაგიშავეთ?

შამბერი. რას აკეთებ, საეჭვოდ კი დაწანწალებ ამ სოფელში.

ლარისა. არა, ბატონო გენერალო. (*მასთან ახლოს მიდის, შესცქერის*).

შამბერი. სად ცხოვრობ?

ლარისა. მეზობელ სოფელში. აქ ხანდახან ბურღულს ვშოულობ, ცოტა პურსაც ბავშვისთვის. დღეს ფაფას მოვუდუღებ. შევიყვარდებათ, რომ ნახოთ.

კრეიცერი. არაფერი მჯერა. წმინდანად მოაქვს თავი.

შამბერი. (*შეშფოთდება*) ასეთ ლამაზებს ბოლშევიკები მზვერავებად იყენებენ.

ლარისა. როგორ გეკადრებათ, თქვენო აღმატებულებავ, ჩემისთანა გულუბრყვილო არსება ჯერ არ გაჩენილა ქვეყანაზე.

შამბერი. (*მხარზე ხელს შეახებს ლარისას, თვალში თვალს გაუყრის*) ეშმაკები ხართ ქალები.

ლარისა. მამაკაცები კი უნდონი.

კრეიცერი. ჩაიწყვიტე ხმა. როსკიპი ხარ ვიღაც, ენა გაგზრდია.

ლარისა. რას მლანძღავთ (*მივარდება და კრეიცერს სილას გააწნავს, კრეიცერი რევოლვერს იშიშვლებს, იმ წამსვე შამბერი რევოლვერით თავზე წაადგება მას*).

შამბერი. შეჩერდი, პოლკოვნიკო, სადღაა სულგრძელობა. ამის მოკვლას რა უნდა. ჯერ გამოვიძიოთ. მეც არაფერი მჯერა მისი. გიუნტერო, პირველი დაკითხვის ოქმი ხომ შეადგინე. ახლა ეს ქალი კომენდატურას ჩააბარე ხელწერილით. მოვიცლი, პირადად მე დავკითხავ, გამოვარკვევ მის საქმიანობას.

გიუნტერი. გასაგებია. (*გიუნტერი და ლარისა გადიან*).

შამბერი. ფიცხი ყოფილხარ, პოლკოვნიკო!..

კრეიცერი. ეშმაკსაც წაუღია მისი თავი. რა კარგ გუნებაზე ვიყავი. (*ასხამს რომს, გადაჰკრავენ*) გთხოვთ, განაგრძოთ ის ისტორია.

შამბერი. ჰო, როცა წავიდნენ, მე საწვიმარი გადავიცვი, ფეხზე მამაჩემის ჩექმები მოვჭირგე, ძონძებით თავი შევისუდრე.

კრეიცერი. არ შემიძლია მოთმენა.

შამბერი. ხეს აფარებული ველოდი. გვერდში ღიღინით ჩამიარა. დანით ვეცი. აღელვებულს ხელსაყრელი წამი გამიშვია, მობრუნება მოასწრო, დამეძგერა, დანა მხარში მოხვდა, დაიგმინა. ძალა მოიკრიბა, ვერ წამაქცია, მაგრამ სახეზე ხელები წამიტყაპუნა, ძონძები შემომაგლიჯა, მიცნო და პირზე ხელები აიფარა, იქნებ, რომ არ მომეკლა არაფერს არ იტყოდა არასოდეს, საიდუმლოებას არ გასცემდა. შემეშინდა, გულღვიძლი დავაგლიჯე.

კრეიცერი. სრულ ორ საათზე განუტევა სული?

შამბერი. არა, თითქმის სამი საათი გახლდათ. პოლიციამ მოასწრო მისი დაკითხვა საავადმყოფოში. ჩემზე არაფერი უთქვამს. მხოლოდ გრეთჰენის ეჭვებით, მეზობლის ჩვენებით დამაპატიმრეს.

კრეიცერი. ყველაფერი ზუსტია (*წამოცდა და შეკრთა*).

შამბერი. რაო? ეს რას ნიშნავს?

კრეიცერი. არა, ისე ვთქვი, ბარემ ისიც გახსოვთ, ალბათ, მას ვინ მკურნალობდა? საქმის გამოძიება ვის დაავალეს?

შამბერი. (*ერთხანს დაფიქრდა*) ცნობილი ექიმი დიკ ბრაუნი ვერაფერს გახდა. პროკურორმა ჰანს კაუფმანმა ხუთი წლით პატიმრობა მომისაჯა.

კრეიცერი. როგორ! (*წამოიყვირა, ზეზე წამოვარდა*). ცდებით, პატივცემულო გენერალო. პირიქით, ექიმის გვარი კაუფმანია, ხოლო პროკურორის—ბრაუნი.

*შემოდის გიუნტერი*

შამბერი. რა გაუფრთხილებლად იქცევი. ეს არ შეჰფერის შენისთანა გამოცდილ მზვერავს. მე მიგიხვდი, ყოველივეს მიგიხვდი. ჩვენი ნაწილის მარცხის მიზეზებს ჩემში ეძებთ, ტყვეობის დროს ხომ არ გამოგვიცვალესო. როცა მე პროკურორისა და ექიმის გვარები ამერია, შენ გაიხარე — აჰა გამოვიჭირეო. ეს შეცდომა ხელოვნურად დავუშვი. შენ კი მიამიტი გესტაპოელი ყოფილხარ (*ხარხარებს, დასცინის, აბუჩად იგდებს. გიუნტერიც იცინის. პაუზის შემდეგ*) გიუნტერო, არმიის სარდალს ახლავე მივწეროთ, იცოდეს ჩვენი აზრი ამ კაცის შესახებ, საეჭვოა რამეში გამოგვადგეს?

გიუნტერი. არის! თქვენს ბრძანებას დღესვე შევასრულებ. ბატონო გენერალო, მირბერი გეახლათ. გელოდებათ.

შამბერი. ეშმაკს წაუღია მისი თავი... (*მრისხანე გამომეტყველება მიიღო*) შტაბის უფროსო, ეს კიდევ რა მომხდარა! დამირეკეს, დილით ჩვენი კავალერისტები გაუვალ ტყეში გარემოცვაში აღმოჩენილან, ერთიანად ამოუხოცავთ პარტიზანებს. ახლავე განგაში გამოაცხადე. იმ ადგილებში ორი ბატალიონი გააგზავნე, არტილერიის ცეცხლიც მოამზადებინე. ამის შემდეგ ცხენოსანთა დაღუპვის მიზეზებიც გამომირკვიე, ამას პირადად შენ გავალებ.

გიუნტერი. არის!

შამბერი. დამნაშავენი ხვალვე უნდა დავსაჯოთ. ხომ ხედავ ასეთი განთქმული მზვერავი შემომიჩინეს. მართლაც, საეჭვო გავხდი. მიკვირს აქამდე რად არ მომხსნეს. პასუხისგებაში ჩემთან ერთად შენც მისაცემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარ. ჭკუა ვისწავლე; ამიერიდან მეტად დაუნდობელი ვიქნები, სასტიკიც. *(მუშტები მაგიდას დაუშინა, შემდეგ გიუნტერის სახესთან მიიტანა და დაემუქრა)*. ვგონებ სხვა არაფერი დამრჩენია, გარდა მეთაურების მოხსნა-გადახალისებისა. შენგან დავიწყებ. შტაბის უფროსო, შენგან, გაგაძევებ, მგლის ბილეთს გაგატან, ჭკუაზე გვიან მოხვალ. *(პაუზა)* ჰო, ის ქალი სადღაა?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. კომენდატურაში.

შ ა მ ბ ე რ ი. რაღაც მაეჭვებს იგი.

გადის

კ რ ე ი ც ე რ ი. საგონებელში ვარ. დავთარი სულ ერთიანად ამერია. გეიდეკს მოუკვდა თავი.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. რაო?

კ რ ე ი ც ე რ ი. არაფერი *(მიირთვი, ჭიქას უვსებს, თავისთვის)* არც გარეგნობა, არც ხასიათი ეჭვების საბაბს არ იძლევა. იქნებ ვინმე განთქმული საბჭოთა მზვერავი ცვლის ნამდვილ შამბერს? რატომ არ შეიძლება ოსტატურად ინიღბებოდეს. *(გიუნტერს მიუბრუნდება)* ახლომახლო ტერიტორიაზე მოქმედი მტრის ნაწილების მზვერავთა შორის განთქმული ხომ არ იყო ვინმე?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. *(იგონებს)* იყო არჩილ მხეიძე, თუ დავიჯერებთ — ამ ქალის ქმარი. ჩვენს ენას ჩინებულად ფლობდა .მაგრამ ამას წინათ ისინი გაზეთში ჯერ იტყობინებოდნენ უგზო-უკვლოდ დაიკარგაო, შემდეგ, ცნობაც კი მოათავსეს გაზეთში მისი დაღუპვის შესახებ.

კ რ ე ი ც ე რ ი. ღმერთმა დასწყევლოს მათი თავი, იქნებ თვალს გვიხვევენ, ცრუობენ *(ხელებს ისრესს)*.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. რას იზამ, ჩემო ძმაო. ათასი ყური გამოისხი, დარაზმე ხალხი.

კ რ ე ი ც ე რ ი. ჰო, ვინ უნდა იყოს ეს ქალი?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. რამდენიმე ჩვენიანის ჩვენება მის შესახებ ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ გეიდეკმა ვერაფერი გააწყო.

კ რ ე ი ც ე რ ი. წინათ თუ გინახავს პირადად?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. როგორ არა, თვეში ორჯერ ან სამჯერ გამოჩნდება, შემდეგ გაქრება. საიდუმლოდ გეტყვი. ერთხელ ქუჩაში მომავალს გენერალმა შეავლო თვალი, ერთმანეთს მზერა სტყორცნეს, ამან ჩაახველა, ქალმა ჩაიკისკისა, გააგიჟა ჩვენი შეფი.

კ რ ე ი ც ე რ ი. ესეც თვალის ახვევასა ჰგავს.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. საღამოობით ქალი არავის უნახავს.

კ რ ე ი ც ე რ ი. შესაძლოა აქ სწორედ მას ჰყავდეს მოკავშირე. რა იყო, გენერალმა იარაღი რომ იშიშვლა? ვის წინააღმდეგ?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. საინტერესოდ მსჯელობ.

კ რ ე ი ც ე რ ი. როგორ, შენც გაეჭვებს გენერალი?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. აბა რა ვიცი, ის კია... ასეთი მოკავშირე იმას მაინც მოახერხებს, რომ გაიქცევა, ბოროტება შერჩება. რამდენ გერმანელს დაუბნელა მზე. იმ ქალის გამოჩენა ქრუანტელს მგვრის, ცუდად მენიშნება. სოფელს დასტოვებდა თუ არა, ჩვენი ნაწილები მახეში ებმებოდნენ, პარტიზანები იცვლიდნენ განლაგების ადგილს.

კ რ ე ი ც ე რ ი. და გერმანელთა შეტევა იარაღის ამაო ჟღარუნით მთავრდებოდა. *(პაუზა)* ხომ შესაძლოა, რომ მზეთუნახავი მოხერხებული ჯაშუშია, რომელსაც კავშირი აქვს სარდლობაში მოკალათებულ პირთან. მითხარი, შტაბის ოფიცრები სად ათევენ ღამეს?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. შემოღებული წესისამებრ, უშიშროების მიზნით — გენერალი და ოფიცრები სხვადასხვა ადგილს ვიძინებთ.

კ რ ე ი ც ე რ ი. აჰა, *(თავისთვის)* ვინ იცის შეცვლილი სარდალი სად ხვდება მზეთუნახავს, რომელსაც მორიგ გეგმებს გადაუშლის, გააფრთხილებს. გიუნტერ, როგორ მოვიქცეთ? ამ ქალის გესტაპოს ხელში გადაცემა აჯობებს.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. გენერალს უნდობლობას უცხადებთ? ხელმოსაკიდი საბუთები რომ არ გაგვაჩნია?

კ რ ე ი ც ე რ ი. გეთაყვა, მაგის ფიქრი ნუ გაქვს. გესტაპო რისი გესტაპოა, თუ წამების შემდეგ ყველაფერი არ ვალაპარაკეთ.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. მაშინ, ერთ რაღაცას გეტყვი. ამით ხელს მოგიმართავ.

კ რ ე ი ც ე რ ი. თქვი.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. ფრონტის სარდლობასთან გესტაპოელთა ჯგუფი რუს ჯაშუშებზე აგროვებდა მასალებს, ხშირად ფოტოსურათებიც გააჩნდათ. არ დამიყოვნებია, ამ ქალის რამდენიმე რეიდის შემდეგ მივაშურე შტაბს. კარგახანს ვქექე არქივი. წავაწყდი კიდეც ერთ ფოტოს, საიდანაც ულამაზესი ქალი მომღიმარი შემომცქეროდა *(ჯიბიდან ამოაქვს ფოტო)* გუშინ ასლი მივიღე.

კ რ ე ი ც ე რ ი. *(ათვალიერებს)* ეს ქალია?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. ნამდვილად ისაა! დღეს ხომ ახლოს ვნახე. შემომითვალეს მისი გვარიც — გალკინა.

კ რ ე ი ც ე რ ი. ყოველივე ეს ძალზე საეჭვოა. როგორ მოვიქცეთ? დაყოვნება დანაშაულია. შამბერს ბარათს გავუგზავნი, შენ შეუტანე, თანაც დაკვირვება აწარმოე. *(წერს, კითხულობს)* ,,რუსი ჯაშუშები ლარისა გალკინა და არჩილ მხეიძე სადღაც აქ მოქმედებენ, მათ კვალს მივაგენი, ახლავე უნდა მოგელაპარაკოთ. კრეიცერი“. აჰა, სასწრაფოდ გადაეცი, მიმიღოს, ამ სურათსაც ვუჩვენებ. ვნახოთ, ჰო, ჩემს ხელქვეითებს გავაფრთხილებ, ფხიზლად იყონ, გზები შეკრან.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. კარგი, მივალ *(გადის)*.

კ რ ე ი ც ე რ ი. *(აკრიფა ტელეფონის ნომერი)* ალო, კაპიტანო, მე ვარ. საიდუმლოდ ყველას გადაეცი, რომ თორმეტი საათის შემდეგ გააძლიერონ მეთვალყურეობა შტაბის ოფიცრების მიმართ. შენ უხელმძღვანელე *(უსმენს)* ჰო, გამოიყენე ჯარისკაცები იმ რაზმიდან. *(დიდხანს უსმენს)*. აბა შენ იცი. გისურვებ წარმატებას.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. *(შემოდის აღელვებული)* არ მიმიღო. ადიუტანტის პირით შემოთვალა გენერალური შეტევის გეგმაზე ვმუშაობო. წერილი კი გადავეცი.

კ რ ე ი ც ე რ ი. რაღაცას გრძნობს, გამჭრიახობა თუ არ მღალატობს. როგორ სჯობს ახლა?

გ ი უ ნ ტ ე რ ი. რასაც გადაწყვეტ — ყაბულს ვიქნები.

კ რ ე ი ც ე რ ი. კომენდატურიდან გესტაპოში გადავიყვანოთ მზეთუნახავი. ამის შეტყობინებისთანავე მიმიღებს გენერალი.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. *(გულიანად ხარხარებს)* სწორია, სწორი. რა შორს იყურები, ყოჩაღ! ნამდვილად უსუსური ყოფილა გეიდეკი. ათი დღეც არ გასულა და რა გაბედულ დასკვნებს აკეთებ. ახლა კი წავალ, ჩემ საქმეებს მივხედავ, ცნობები უნდა მივიღო მალე. ღამე ნებისა *(გადის)*.

კ რ ე ი ც ე რ ი. კარგად *(თვალს გააყოლებს)*. როგორ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასებენ გაწეულ ღვაწლს? *(ბოლთას სცემს, ოცნებობს).* ცხვირმოუხოცელ მზვერავ გეიდეკს გაათახსირებენ, ეს ცხადია. სამი თვე პანიკური წერილებით ავსებდა კანცელარიებს. ეს იყო და ეს.

დერეფანში აჩქარებული ნაბიჯების ხმაა, შემოდიან გიუნტერი და მირბერი.

გ ი უ ნ ტ ე რ ი. ახალი ცნობა! შეფს მანქანა გამოუძახნია, თვითონ მართავს, საწრაფოდ წასულა, ღია დაუტოვებია კაბინეტი, შენობა, თითქოს წარღვნას გაექცაო. აი მირბერი!

ეცნობიან ერთმანეთს. ამ დროს აღმოსავლეთიდან ცეცხლის გუგუნი მოისმა, ბათქები თავს დაატყდა შენობასაც, დენთის შავი კვამლის ბოლქვები აღიმართა ირგვლივ.

მ ი რ ბ ე რ ი. დამაგვიანდა... ნაპოლეონს მაშველმა ძალებმა რაღაც წამები დაუგვიანეს და ვატერლოოს ბრძოლა საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის. დამარცხდა. გუშინ რომ მოვსულიყავი, შევიცნობდი, ვამხელდი. იგი ნამდვილად მხეიძე იყო — მამასახლისი, შამბერის ყოფილი ორეული. ერთ საათს ველოდებოდი, არ მიმიღო.

კ რ ე ი ც ე რ ი. რას ჩერჩეტობ! რად არ მოეთრიე აქამდე, ცხვირმოუხოცავო... ყველაფერი დასრულდა. პარტიზანებმა კვლავ დაგვასწრეს შეტევა, ვიღაცამ კვლავ გასცა ჩვენი გეგმები *(სამივე გარბის).* თავს ვუშველოთ!

## ს უ რ ა თ ი VI

მიწურში ოდნავ ბჟუტავს ჭრაქი. პარტიზანული რაზმის მეთაური პოლკოვნიკი შიშკოვი ჩქარობს, ალაგებს მაგიდას. ფარაჯა გაიხადა, ქამარი გაისწორა. აღებს კარს, გამოჩნდება გუშაგი.

შ ი შ კ ო ვ ი. ვინაა მანდ?

გ უ შ ა გ ი. ლარისა გალკინას სურს თქვენი ნახვა.

შ ი შ კ ო ვ ი. რად ატეხე აურზაური, შემოუშვი.

გ უ შ ა გ ი. ვიღაც ახმახი გერმანელი ახლავს, საბუთები გამასინჯვინა; გენერალი შამბერი ვარო.

შ ი შ კ ო ვ ი. ოჰ, რა კარგია, შემოუშვი, ახლავე გამოატარე, ნუ აყოვნებ.

გ უ შ ა გ ი. როგორ გითხრათ უარი, ამხანაგო პოლკოვნიკო, კარგი.

კარზე კაკუნი გაისმა

შ ი შ კ ო ვ ი. შემოდით *(ლარისა და შამბერი შემოდიან, აქვეა გუშაგი).*

ლ ა რ ი ს ა. შეიძლება, ხომ!

შიშკოვი ეხვევა ორივეს.

შ ი შ კ ო ვ ი. ყოჩაღ, ამხანაგო არჩილ, ნამდვილი გმირი ხარ, სამშობლოს სახელოვანი ვაჟკაცი. მუხლს ვიდრეკ შენი გამბედაობისა და ნიჭიერების წინაშე. ცეცხლთან ასე ოსტატურად თამაში კმარა, გული მელეოდა, თავი რა ხიფათში ჩაიგდეს-მეთქი, დარდი არ მასვენებდა.

ა რ ჩ ი ლ ი. ამხანაგო ლეონიდ, მე კი ქება-დიდებას ვასხამ შენს ჭკუას, შორსმჭვრეტელობას. *(იცინიან).*

შ ი შ კ ო ვ ი. სადრლობამ როგორ მიგიღო?

ა რ ჩ ი ლ ი. არაფერში დაეჭვებულა, მომილოცა „შამბერს" გამოქცევა, ჯილდოზე წარმადგინა, ნაწილში დამაბრუნა. რაც მთავარია, სწამდა ჩემი. მოთხოვნისამებრ, ახალ მაშველ ძალებს არ მაკლებდა. არ დაეჭვებულა ერთგულებაში.

შ ი შ კ ო ვ ი. უზომოდ მახარებს თქვენი ცოცხლად გადარჩენა. ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ამჟამად ერთი რამ არ მასვენებს. საჭიროებამ ისე მოითხოვა და ჩვენი ნაწილის გაზეთში მოვათავსეთ რა დაღუპულ პარტიზანთა სია, მასში შენცა და ლარისაც შევიტანეთ. მეგობრები ბევრი გყავთ. იქნებ შინ მისწერეს. ახლავე აფრინეთ ბარათები, გაახარეთ მშობლები.

ლ ა რ ი ს ა. *(მიმართავს შიშკოვს)* რატომ არ კითხულობთ, რამ აიძულა არჩილი ხელი აეღო გერმანელთა ნაწილის უფროსობაზე?

შ ი შ კ ო ვ ი. ხომ გითხარით, გული მელეოდა-მეთქი, ჩემი სურვილი იყო მისი დაბრუნება.

ლ ა რ ი ს ა. ათიოდე დღის წინ გესტაპოს მზვერავი მოუვლინებიათ ბერლინიდან. პოლკოვნიკმა კრეიცერმა სწრაფად აუღო ალღო მდგომარეობას, გუშინ ჩემი შეპყრობის შესახებ ბრძანება გასცა, მირბერიც უპოვნია...

შ ი შ კ ო ვ ი. გასაგებია, ეს როგორც კი შეიტყო არჩილმა...

ა რ ჩ ი ლ ი. დიახ, გადავწყვიტე ნიღაბი ჩამომეგლიჯა „შამბერისათვის" *(იცინიან, ეხვევიან ერთმანეთს).*

შ ი შ კ ო ვ ი. მოხერხებულად გავაცურეთ... ახლა კი თქვენ რამდენიმე დღით უნდა დაისვენოთ. დიდად გმადლობთ არჩილ და ლარისა. თქვენ უანგაროდ ემსახურებით სამშობლოს. მწამს კვლავ მზადა ხართ... *(შიშკოვი და არჩილი ერთმანეთს ეხვევიან. ემზადება წასასვლელად).* მართლა, ბავშვები როგორ არიან?

ლ ა რ ი ს ა. გოგონა დიდი ხანია ბიძამისთანაა საქართველოში, ბიჭუნა, ეს ორი თვეა გავამგზავრე და ჯერ არაფერი ვიცი.

ა რ ჩ ი ლ ი. ეს როგორ? დაკითხვაზე მოგვატყუე, ძვირფასო ლარისა?

ლ ა რ ი ს ა. სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვე, ვიცრუე.

შ ი შ კ ო ვ ი. არ იდარდოთ, კარგად იქნება ისიც... მთელ ფრონტზე დაწყებულა ჩვენების შეტევა. განსაცდელი კიდევ ბევრი მოგველის. აბა, დროებით გტოვებთ. მეზობელ მიწურში ვიქნები. *(გადის გუშაგთან ერთად)*

ა რ ჩ ი ლ ი. ჩემი ბიჭი ვის ანდე? როგორ მენატრება! იქნებ ვერც ვნახო, ომია.

ლ ა რ ი ს ა. ღმერთმა გვაშოროს უბედურება. ქალ-ვაჟი გვყავს გასაზრდელი!

ა რ ჩ ი ლ ი. *(თვალს შეავლებს ნატაშას სურათს)* ჩვენი დაუვიწყარი ნატაშა!

ლ ა რ ი ს ა. შიშკოვსა და ჩემს დას უყვარდათ ერთმანეთი. პაულ ჰერბერტს ნატაშა ჩემს ნაცვლად გააყოლეს ზღვაში. დავალება შეასრულა, ნაღმები თან წაიღო და კრეისერი ააფეთქეს. ყველა დაიღუპა.

ა რ ჩ ი ლ ი. შენს მაგიერ გაუწირავს თავი.

ლ ა რ ი ს ა. ასეთი იყო შიშკოვის გადაწყვეტილება. დამაჯერა, რომ არჩილთან ერთად უფრო მეტი სიძნელეები გადასალახავიო.

ა რ ჩ ი ლ ი. შიშკოვს გაუდიდებია ნატაშას სურათი, თავთან დაუკიდია. მისი ლანდი განუშორებლად დაყვება. მებრალება...

ლ ა რ ი ს ა. *(უახლოვდება, სიყვარულით შესცქერის)* გაიხადე გერმანული ფორმა, მე მხეიძე მიყვარს, მხეიძე, გესმის ძვირფასო!

უახლოვდებიან ნატაშას სურათს, კოცნიან, შემდეგ ერთმანეთს ეხვევიან.

ფ ა რ დ ა